1854
2015

სამთავროს მაუწყებელი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა.
(გამოდის 2010 წლის 5 ივნისიდან)

14 დეკემბერი 2015. №4 (21)

გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის", – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ–მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის" გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ჟურნალ „მაყვლოვანში" გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 2346-7738

უაკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

სსსამეგრდ
ჟურნალ-გაზეთების
სარეცენზიო სამსახური
ბირთვადი
რეგისტრაციის №.....

მიმდინარე
რეგისტრაციის
№ 4(21)
14.12.15
თარიღი

დასახელება: ჟურნალი მაყვლოვანი

რეცენზენტი: [illegible]

შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ილია II**-ის ლოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი.....4

საუბარი უწმიდესთან და უნეტარესთან **ილია II**-სთან.....6

მილოცვა – ეურნალ „სამთავროს მაყვლოვანის“ ხუთი წლისთავთან დაკავშირებით.....9

უწმიდესი და უნეტარესი **ილია II**-ის სიტყვა (ღირსი გაბრიელის ნაწილთა ლუსკუმაში გადასვენების დღეს).....10

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)
„ზე გვაქუნდინ გული“.....13

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)
„საქართველოზე ღვთის მადლია დავანებული“.....15

მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)
ერთმორწმუნეობისათვის.....21

ღირსი ნილოს სინელი
სწავლანი.....27

წმიდა ეფრემ ასური
უფლის მოსვლისათვის, სოფლის აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის.....30

დესტრუქციული კულტები – გურუიზმი....36

მონოზონი ნონა (ჯავაშვილი)
სამთავროს ფერისცვალების ტაძრის საკურთხევლის მხატვრობა.....40

რედაქტორი:
მონოზონი ანა (ნიაური)

სარედაქციო კოლეგია:
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

კომპიუტერული მომსახურება:
მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა N 3
ტელ: 593 76 31 87; 593 30 07 07
ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



უწმიდესი და უნეტარესი ილია II:

ლოცვა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი

„დედაო ღვთისავ, გარდამოიხილე ჩვენზე და გვაცხოვნე ჩვენ! ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, პატრონო ივერიისაო, ბრწყინვალე ვარსკვლავო ცისკრისაო, მზეო ქვეყნისაო, აღმატებულო ანგელოზთაო, შემწეო ყოველთა დავრდომილთა და შეჭირვებულთაო, მამისგან უფლის დედად გამორჩეულო და მფარველო ორთავ სოფლისაო, მოწყალე თვალით გარდამოიხილე შენს წილხვედრ ქვეყანას – საქართველოს და ურიცხვთა ცოდვათა ჩვენთა შენ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დობაი შესთხოვე ყოვლადწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. წყალობითა შენითა, კვალად აღგვადგინე, მშიერნი დააპურე, შიშველნი შემოსე, საპყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიმართლის გზაზე დააყენე, უძლურნი განკურნენ, მტირალთ ნუგეშიეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილდღეობით გაახარე.

დედაო მოწყალეო, მოგვეც სიმტკიცე ჭეშმარიტი რწმენისა, სასოება, შიში ღვთისა და შეუორგულებელი სიყვარული ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა; მოგვმადლე გული წმიდა და სული წრფელი, გონება – მახვილი და ღრმა, სხეული ჯანსაღი – და უვნებელი; განამტკიცე ოჯახები ქართველთა და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა, აღავსე ბედელნი ჩვენნი პურითა და ვენახები ჩვენნი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პირუტყვთა.

ღვთისმშობელო დედაო, შეცდომილნი ძენი და ასულნი ივერიისანი, ჭეშმარიტების გზაზე დააყენე; უცხოეთში მყოფნი ქართველნი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე; მტრადმოსულნი უცხო ტომნი, ჩვენს უვნებლად თვისსავ ქვეყანასა შინა განაწესე; ხოლო ჩვენ, მკვიდრთა საქართველოისათა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევეწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვიხაროდეთ.

დედაო მარიამ, ერი ქართველთა, მთავრობა და ეკლესია ჩვენი სულიერად შეკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისად დაადგინე; ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უხილავ მტერთაგან კეთილსურნელ იათა მახვილითავე მარად დაიცევ.

მერმეცა გევედრები, რათა შეეწიო მაღთლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი მეოხებითა შენითა სავანესა მართალთასა დააწესე. განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელო დედაო, დიდებასა და მადლობასა გწირავთ შენ, მეოხო ჩვენო; შენს ფერხთა ქვეშე განვაფენთ გულთა ჩვენთა და კანდლად აღგინთებთ ლოცვასა ჩვენსა, ზეცისა სასუფევლიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანდაზსა დაგიფენთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელისა ქვეყნის ყვავილებით განვამშვენებთ მას. მუხლმოდრეკით შეგთხოვთ, არ განგვშორდე არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, – მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.“

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთა კავშირი

საუბარი უწმიდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში არის სენაკი, სადაც ღირსი დედები მოღვაწეობდნენ და სადაც უწმიდესი და უნეტარესი ილია II მოსაგრეობდა, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორობის ჟამს;

გადმოცემით, ამ სენაკში, მის უწმიდესობას წმიდა ვახტანგ გორგასალი გამოცხადებია, რისთვისაც სენაკს დღეს წმიდა ვახტანგ გორგასალის სამლოცველო ეწოდა და აქ დაუჯდომელი საგალობლები და მიცვალებულთა სულის მოხსენიება აღესრულება.

მის უწმიდესობას ვთხოვეთ, ამასთან დაკავშირებით, ეამბნა ჩვენთვის.

– თქვენო უწმიდესობავ, იქნებ გვიამბოთ ვახტანგ გორგასალის სიზმრისეული ხილვის შესახებ და მცირედ გვითხრათ საიქიოსთან სულთა კავშირისათვის?

– არის კავშირი ცისა და ქვეყანისა. და არსებობს სულთა კავშირი. სულთა კავშირის შესახებ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: ვიდრე სხეულში ვართ, – ცოცხალნი ვართ, მაგრამ გარდაცვლილი ადამიანის სულიც ხომ ცოცხალია და ჩვენ შორის უთუოდ არის კავშირი.

ჩვენი წინაპრები ითხოვენ ჩვენგან ლოცვას, ჩვენც ვთხოვთ მათ დალოცვას. და ისიც უნდა იცოდეთ, რომ ისინი უფრო მეტად გვეხმარებიან, ვიდრე ჩვენ – მათ...

ჩვენი დიდებული მეფეები, პატრიარქები, ჩვენი წინაპრები, იმქვეყნად რომ მიდიან, ისინი არ კარგავენ კავშირს დედამიწასთან, თავის ნათესავებთან; ხშირია შემთხვევა, როცა იმქვეყნად გარდასულები გვანუგეშებენ, იმედს გვაძლევენ, გვარიგებენ და ეს ყველაფერი ჩვენ გვეხმარება; და აგრეთვე, როცა ადამიანი გარდაიცვლება, და მიცვალების ჟამსაც, მას ეცხადებიან, ეჩვენებიან, წინაპრები; მიცვალებისას ისინი ხვდებიან, შეხვედრას უწყობენ გარდაცვლილთა სულებს, რათა გაუადვილონ დედამიწასთან განშორება და გაყოფა სულისა და ხორცისა... ამდენად, ჩვენი დიდებული მეფეები, პატრიარქები, ჩვენ შეგვეწევიან.

წმიდა ვახტანგ მეფე კი ასე ვნახე:

სამთავროს ტაძრის ეზოში ცხენით შემოვიდა წმიდა ვახტანგ გორგასალი, ორი თანმხლები პირით. ვინ იყვნენ, არ ვიცი, ძალიან საინტერესო იყო: ვახტანგ გორგასალი მოდიოდა წინ. ისინიც, ერთიორი მეტრით დაშორებულნი, აქეთ-იქეთ მოჰყვებოდნენ. და ვახტანგ გორგასალმა მარჯვენა მხარეს მიიყვანა ცხენი. მე ცოტა იქით, მონასტრისკენ, ვიდექი. გადმოვიდა ცხენიდან მეფე და ხელები წინ ისე დააწყო, როგორც ლოცვის დროს. მეც ასევე დავაწყვე ხელები; მივედით და ვემთხვიეთ ერთმანეთს; ის ხელზე მემთხვია, მე კი, თითქოს, გული დამწყდა – მეც რომ არ ვემთხვიე ხელზე. შემდეგ მეფე მივიდა ცხენთან, რომელზეც არ ჩანდა და ისე გადმოიღო ძალიან თხელი ხურჯინის მსგავსი რამ, საიდანაც გადმოსაცემად რაღაც ამოიღო.

შემდეგ ავედით, აი, იმ კიბეზე, მამა გაბრიელის კოშკისკენ ასასვლელი რომ არის. იქნებ ამისთვის მაინც დავტოვოთ ეს კიბე... (სამთავროში, კოშკისკენ ამავალ, ისტორიულად წოდებულ კიბეზეა

უწმიდესი და უნეტარესი ილია II
წმიდა ვახტანგ გორგასალის ხატის წერისას

საუბარი – რედ.), ავედით ამ კიბეზე, წავედით მარჯვნივ და მაღლა; შევედით თუ არა კორიდორში, მარჯვენა მხარეს რომ სენაკია, აი, იქ შევედით. სენაკში, ხელმარცხნივ, ფანჯარა რომ არის, იმ ფანჯარასთან მაგიდა იდგა და სკამები, იქ დასხდნენ... მე საჭმელს ვამზადებდი და ვთქვი: საჭმელი და მოსვენება მეფეს-მეთქი. აი, ასე იყო...

სხვა მეფეებიც მინახავს: წმიდა დავით აღმაშენებელი, წმიდა თამარ მეფე...

– წმიდა დავითისთვის გვითხარით, თქვენო უწმიდესობავ!

– წვეულება იყო, დიდი წვეულება. დარბაზში ხალხი შეკრებილიყო და დავით აღმაშენებელი ხალხში იდგა. რაღაც რიგივით იყო და ყველას ჭურჭელი ეჭირა. ვიღაც დადიოდა, ხალხს ჭურჭელში ღვინოს უსხამდა. დავით აღმაშენებელს არ ჰქონდა ჭურჭელი. ვიფიქრე – როგორ დალევს-მეთქი? – და მან სასმელს ხელები მიუშვირა, გადაიბანა და არ დალია...

– თამარ მეფე როდის ნახეთ, თქვენო უწმიდესობავ?

– ეპისკოპოსობის დროს, პატრიარქად აღსაყდრების წინ ვნახე:

დიდი ტაძარი იყო, სვეტიცხოველს ჰგავდა, გალავანიც მაღალი ჰქონდა, სვეტიცხოველზე მაღალი. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. და ხალხი ორად გაიყო, ბილიკი გაკეთდა და ვიღაც გამიძღვა. არ ვიცი ვინ იყო; მერე, შუამდე არ ვიყავით მისული, გაუხვია. ერთგან ტახტი იდგა, ცენტრში კი არა – გვერდით იდგა ტახტი; თამარ მეფე მივიდა და დაბრძანდა მასზე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II
წმიდა თამარ მეფის ფრესკის შესრულებისას

იგი ერთხანს იდგა, მერე კი მივიდა და დაჯდა. ტახტთან სამსაფეხურიანი კიბე იყო და იქ არავის არ აკარებდნენ.

წმიდა თამარ მეფე შავგვრემანი იყო, შავი თმებით, თვალ-წარბიც შავი ჰქონდა და რომ მივედი, აქეთ, დასავლეთით, იყურებოდა. ხელი გამომიწოდა, კიბეზე ავედი და ერთად დავსხედით...

– თქვენო უწმიდესობავ, საქართველოში

უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** ლოცვას აღავლენს
მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის განსასვენებელთან

სამეფო ხელისუფლების აღდგენისათვის რა შეიძლება ითქვას?

– დგას ეს საკითხი; დგას და უნდა მომზადდეს ერი, პირველ რიგში, და – პიროვნება.

– მოციქულთასწორთა, პირველ ქრისტიან მეფე-დედოფალთა, მირიანისა და ნანასათვის, სამთავროს დედათა მონასტერში ყოველ კვირას აღევლინება პარაკლისი, საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს აღსადგენად.

– წმიდა მეფე მირიანის და წმიდა დედოფალ ნანას ღვაწლია ეს, რომ საქართველომ შეინარჩუნა და განავითარა ქრისტიანობა. მათი ლოცვა, მათი ღვაწლი და კურთხევა რომ არ იყოს ჩვენზე, დავიწყებული გვექნებოდა ჩვენ ქრისტიანობა და შეიძლება, სხვა რელიგიის მიმდევარნიც გავმხდარიყავით. ეს წმიდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას დამსახურებაა...

მე ძალიან მიხარია, რომ ჩემ დროს დაიდგა მათ განსასვენებელზე ახალი სამარხი ქვები და ასევე – გაკეთდა მოზაიკა; ამან ძალიან გააცოცხლა მოციქულთასწორ მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხსოვნა.

– საქართველოში მოღვაწე დღევანდელ ბერ-მონოზვნობაზე რა შეიძლება ითქვას?

– პატრიარქ ეფრემის დროს ძალიან გვიჭირდა ბერობას; ბერობა თითქმის აღარ იყო. და პატრიარქ ეფრემის მიცვალებიდან კარგახნის შემდეგ, ჩემს პატრიარქობაში, ვნახე ასეთი სიზმარი: თმას ვიჭრიდი და ჩემთან მობრძანდა უწმიდესი ეფრემი და მითხრა: – თმას თუ არ შეიჭრი, როგორც ეს შენი თმა, ისე გამრავლდება საქართველოში ბერ-მონოზვნობაო. და მერე ვთქვი: – ნუღარ შევიჭრით-მეთქი – და მართლაც, მას შემდეგ აღარ შემიჭრია თმა. საოცარი რამ მოხდა – იმ დღიდან დაიწყო გამრავლება ბერ-მონოზვნებისა.

ესაუბრა **მონოზონი ანა** (ნიაური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ლ ო ცვ ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ჟურნალ „სამთავროს მაყვლოვანს“ დაარსებიდან 5 წლისთავს ულოცავს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალ „მაყვლოვანს“ უწმიდესისა და უნეტარესის, **ილია II**-ის ლოცვა-კურთხევით, შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „სამთავროს მაყვლოვანი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

ჟურნალ „სამთავროს მაყვლოვანს“ ვულოცავთ დაარსებიდან ხუთი წლისთავს.

ეს მცირე დროა პერიოდული გამოცემისთვის, მაგრამ ჟურნალმა უკვე დაიმსახურა ხალხის სიყვარული, რადგან სულიერ საკითხებს საინტერესო კუთხით აწვდიან მკითხველს და, ამასთან, ისეთ თემებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც მორწმუნეთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

წმიდა ნინოს სამყოფლის წიაღში შექმნილი ეს გამოცემა ერთგვარად წმიდა ნინოს მქადაგებლური ღვაწლის გამგრძელებლია, რაც, ბუნებრივია, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას.

ღმერთმა დალოცოს იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი), სამთავროს დედათა მონასტრის დედანი და დანი. ღმერთმა დალოცოს „სამთავროს მაყვლოვანის“ რედაქტორი, მონოზონი ანა (ნიაური), გამომცემელნი და მკითხველნი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

20 აგვისტო, 2015წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II

„მამა გაბრიელი მუდამ იყო უფალთან და უფალი მუდამ იყო მასთან“



სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა,

ჩვენთან არს ღმერთი!

დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი! ღვთის წყალობა ამქვეყნად სხვადასხვა სახით გამოვლინდება და თითოეულ ადამიანს სხვადასხვა სახით ეძლევა. ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, რატომ ეძლევა ეს წყალობა და ეს მადლი ამა თუ იმ ადამიანს. ერთი კი არის, რომ სულიერად მაღლა უნდა იდგეს ის ადამიანი, რომელსაც ეს წყალობა ეძლევა.

ღირსი მამა გაბრიელი განსაკუთრებული პიროვნება იყო; იგი აკურთხა ეპისკოპოსმა გაბრიელ ჩაჩანიძემ. მან თავისი სახელი დაარქვა მამა გაბრიელს. ეპისკოპოსი გაბრიელ ჩაჩანიძე იმ დროს ალავერდელი ეპისკოპოსი იყო.

ღირსმა მამა გაბრიელმა აღმსარებელმა და სალოსმა გამოიჩინა რაღაც საოცარი თვისებები. ზოგს ესმოდა მისი, ზოგს არ ესმოდა, და ის ღვთის საქმეს მაინც აკეთებდა. მამა გაბრიელი იმ დროს აკურთხეს და ისეთ დროს დაიწყო მოღვაწეობა,როცა ეკლესია იდევნებოდა,როცა სასულიერო პირები იდევნებოდნენ. და აი, ამ დროს მოურიდებლად ქადაგებდა მამა გაბრიელი. და ძალიან ბევრი იყო შემთხვევა, როცა იგი სალოსობდა. სალოსი არის ავადმყოფი, სულელი; მაგრამ მამა გაბრიელი მართლა სალოსი კი არ იყო და მართლა ავადმყოფი?! – ასეთი ჯვარი, ასეთი ტვირთი, მიიღო მან თავის თავზე. წარსულში მრავალჯერ ყოფილა, როცა სალოსები ისეთ რამეს ამბობდნენ ან აკეთებდნენ, რაც არ ესმოდა ხალხს. მამა გაბრიელი ზოგს ამხელდა, ზოგს აქებდა, ზოგს არიგებდა, მაგრამ, შინაგანად, ის მუდამ იყო უფალთან, და უფალი იყო მასთან.

და აი, დღეს ჩვენ შევასრულეთ წირვა. და ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნეშტი უნდა გადავასვენოთ ახალ ლუსკუმაში. შევთხოვთ უფალს, რომ მამა გაბრიელის ლოცვა-კურთხევა არ მოგვკლებოდეს ჩვენ და სრულიად საქართველოს.

მამა გაბრიელი ღვთის სასუფეველშია, მაგრამ ამავე დროს, მამა გაბრიელი ჩვენ ყველას გვეხმარება. წყალობა ღვთისა და ლოცვა-კურთხევა ღირსი მამა გაბრიელისა იყოს თქვენზე და საქართველოზე, ამინ.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, 29 ნოემბერს, ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნეშტი გადაასვენეს ახლადგამშვენებულ სარკოფაგში.

საზეიმო წირვა აღასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II**-მ, თანამლოცველები იყვნენ წმიდა სინოდის წევრები და სხვა სასულიერო პირები. წირვის შემდგომ უწმიდესმა და უნეტარესმა **ილია II**-მ წარმოთქვა ქადაგება და შემდეგ ღირსი გაბრიელის სახელზე ჩატარდა პარაკლისი.

დასასრულ, ლუსკუმა, მამა გაბრიელის წმიდა ნაწილებით საკურთხეველში შეაბრძანეს. შემდეგ კი გალობით ჩაასვენეს ახლადგამზადებულ სარკოფაგში.



სამთავროს ფერისცვალების ტაძარი. ღირსი მამა გაბრიელის განსასვენებელი.

უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ღირსი გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის წმიდა ნაწილთა ჩასასვენებლად, გამზადდა ბალდახინი ანუ კარავი, რომლის არქიტექტორია თემურ ბერიძე.

ბალდახინი ანუ კარავი ორი ნაწილისგან შედგება: კარვისაგან (ქვიშა-ქვისაგან) და სარკოფაგისაგან (ონიქსის ქვისაგან). კარავი ოსტატ პაატა გიგაურის ხელმძღვანელობით შეიქმნა, ხოლო ონიქსის განსასვენებელი ჯონდი აფრიდონიძის ხელმძღვანელობით გამზადდა, დავით მსაჯულიშვილის კომპანია „კამასში“.

კარვის შიგნითა კედელზე დაბრძანებულია ღირსი გაბრიელის ხატი; ხატმწერია ირაკლი ცინცაძე; ჭედურობა ეკუთვნის ზურაბ ჩიკვაიძეს, ხოლო მინანქრის ავტორია ბესო ანთიძე.

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)

„ზე გუაქუნდინ გულნი“

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ ამ დღესასწაულს, ღირსის მამის, აღმსარებელისა და სალოსის, არქიმანდრიტ გაბრიელის ხსენების დღეს!

მინდა გითხრათ, რომ ეს დიდი დღესასწაულია... თითქოს, გუშინ იყო ის დიდებული დღე, როცა ჩვენ წმიდა მამა გაბრიელის საფლავი გავხსენით და ვადიდეთ მაღალი ღმერთი, რამეთუ კიდევ ერთი წმიდანი მოგვმადლა ჩვენ უფალმა, მეოხად; წმიდანი, რომელიც აქ, სამთავროს დედათა მონასტერში, მოღვაწეობდა და ჩემსავით, აქ ევედრებოდა ღმერთს; მამა გაბრიელმა მრავალი განსაცდელი გამოიარა. იგი იყო პატიმრობაში და ლტოლვილობაში; მან ყოველივე დაითმინა, ქრისტეს სახელით, და ეს ადამიანი წმიდანად შეირაცხა. მადლობა და დიდება ღმერთს, ყველაფრისათვის! როგორც წმიდა მამები ამბობენ, წმიდანების ეს უწყვეტი ჯაჭვი, მეორედ მოსვლამდე გაგრძელდება.

ახლა საოცარი პერიოდია. მიუხედავად იმისა, რომ განსაცდელშია ჩვენი ერი, ჩვენი ეკლესია და სამშობლო, შინაგანი სიხარული მაინც არის ჩვენში და ჩვენ შორის. და აი, რატომ – ჩვენ ყველამ ვიცით სახარების იგავი, სადაც ერთი განრღვეული 38 წელი ელოდებოდა განკურნებას. თქვენ იცით ეს იგავი და მე ძალიან მიყვარს იგი.

იგავში ნათქვამია, რომ იერუსალიმში არის წმიდა წყარო ანუ საბანელი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. მასში ყოველ წელიწადს ანგელოზი ჩადიოდა, რომელიც აამღვრევდა წყალს და პირველი ადამიანი, ვინც ამ საბანელში შედიოდა, იკურნებოდა. და საოცარი რამ ხდება – უფალი ამ დავრდომილ ადამიანთან მიდის და ეუბნება: – რატომ ხარ აქო? დავრდომილი კი მშვიდად პასუხობს: – 38 წელია ველოდები განკურნებას, მაგრამ არავინ არ არის, ვინც დამეხმარება, ამ საბანელში რომ შევიდეო. მუდამ ვიღაცა მასწრებსო. – და განრღვეულმა ეს ყოველივე მშვიდად თქვა.

ახლა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ვნახოთ – ჩვენ 38 წელი კი არა, ერთი წელიც არ გვყოფნის მოთმინება, არ გვყოფნის თავმდაბლობა, ლოცვის მადლი, რომ დაველოდოთ იმ დღეს, როცა უფალი მოვა ჩვენთან.

მაგრამ ჩვენ შორის არის ადამიანი, რომელიც 38 წელიწადია მოთმინებით ელის ჩვენთვის. წლევანდელი წელიწადი კი ჩვენი საყვარელი უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პატრიარქობის 38-ე წელიწადია. 38 წელია, იგი მშვიდად, ლოცვით, თავმდაბლობით, მოთმინებით ევედრება, რათა მოვიდეს ჩვენთან უფალი, და განრღვეულივით, იგი არამარტო ევედრება ღმერთს, მთელი ჩვენი ერის განსაკურნებლად, ჩვენი სამშობლოს დასამშვიდებლად, არამედ – მდაბლად და მშვიდად ელოდება.

განრღვეულის თემაზე პატრიარქთან საუბრისას, აღვნიშნე: რომ ის შეჭირვებული ადამიანი არ წუწუნებდა, არც მრისხანებდა, არამედ ელოდა, მოლოდინში იყო-მეთქი; პატრიარქმა მიპასუხა: „– მეც ველოდებიო“. აი, ასეთია ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი. ასეთი უნდა იყოს ჩვენი განწყობაც; ჩვენ ქა-

ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია) ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებელისა და სალოსის, ლუსკუმასთან

რთული ხასიათით უნდა განვიმსჭვალოთ – მოთმინებით, სიყვარულითა და სიხარულით.

მართლმადიდებელ ქრისტიან ეკლესიებს შორის, რა თქმა უნდა, რომ განსხვავება არ არის – ჩვენ ყველა ქრისტიანები ვართ; ერთი და იგივეა მცნება საქართველოში, საბერძნეთში, ანტიოქიაში და მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოში. მაგრამ, ქართული ხასიათი მაინც განსხვავებულია; მაგალითად, თანამედროვე მამებს, რომლებიც ეხლა ათონის მთაზე, სინას მთასა თუ სხვა წმიდა ადგილზე მოღვაწეობენ, მათთან მისულ მომლოცველთა მრავალ შეკითხვაზე პასუხი აქვთ: თუ როგორი უნდა იყოს ლოცვა, მარხვა, თავმდაბლობა; მაგრამ როცა მათ ეკითხებიან სიყვარულზე, სიყვარულისათვის – მათ პასუხი არა აქვთ. ხოლო ჩვენთან, ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ თქვენგანს, შეიძლება გაუჭირდეს იმის თქმა თუ როგორია იერუსალიმის ტიპიკონი ან კონსტანტინოპოლისა; შეიძლება თქვენ გაგიჭირდეთ წმიდა მამების მოძღვრებათა გაგება-განმარტება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მრევლის ნებისმიერ წევრს, აქ, რომ ჰკითხოთ, რა არის სიყვარული? – შეუძლია, რომ გაშალოს დიდი ტრაპეზი, ადიდოს უფალი და იწყოს საუბარი წმიდა მეფეებით და დაამთავროს წმიდა მამა გაბრიელის და პატრიარქის მაგალითებით. აი, ეს არის განსხვავება! ქართული ხასიათი – ეს არის სიყვარულით სავსე ხასიათი; მაგრამ ბევრი რამ არის ამ სიყვარულში მიწიერი; ამიტომაც, შუა წირვისას, ჩვენ აღვავლენთ ვედრებას: „ზე გვაქუდინ გულნი!" – ეს ნიშნავს, რომ მიწიერი სიყვარული უნდა გარდაიქმნას ზეციურ სიყვარულად; და როგორც მიწიდან ამოღებული მარგალიტები და ოქრო, ისე უნდა გაიწმინდოს და გამშვენებული და განწმედილი გული საკურთხეველად უნდა აღიმართოს.

ვევედრებით ღმერთს, რათა წმიდანთა უწყვეტი ჯაჭვი გაგრძელდეს; და ვევედრებით ღმერთს, რათა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის პატრიარქობის 38-ე წელი – 39-ით გაგრძელდეს; და რა თქმა უნდა, ვევედრებით უფალს, რომ საიდუმლო, ის მისტიური ციფრი, 40 წლის პატრიარქობისა – აღსრულდეს; ვევედრებით ღმერთს, რომ პატრიარქი უხუცესი გახდეს, პატრიარქთა შორის და გრიგოლ ხანძთელივით 105 წლისა იყოს ჩვენი ერისა და ჩვენი ეკლესიის პატრიარქი.

თქვენ ყველამ იცით ღირსი მამა გაბრიელის ცხოვრების გზა. და მინდა გითხრათ, რომ ღირსი მამა გაბრიელი არა მარტო თანამედროვე აღმსარებელი და მოღვაწეა, არამედ – წმიდა მამა გაბრიელი არის ის ადამიანი, რომელიც დღემდე ევედრება ღმერთს საქართველოსა და ყოველთა მართლმადიდებელთათვის; მაგრამ უკვე არა აქ, ამ დედამიწაზე, არამედ იქ, სადაც ჩვენი დიდებაა, სადაც ჩვენი იმედია და სადაც ჩვენი ყველაზე გამორჩეული ქართველები არიან – იქ, სადაც ღვთის ტრაპეზია და სადაც განისვენებს ყოვლადწმიდა სამების მადლი.

მთელი საქართველო ღვთისმშობლის სალოცავია. მაგრამ განსაცდელიც დიდია ჩვენს სამშობლოში, ჩვენს ეკლესიაში. დღესაც არიან მამები და დედები, ბერ-მონოზნები, რომლებიც ღირსი გაბრიელივით დევნილებასა და გაჭირვებაში ადიდებენ ღმერთს. დღეს მრავალი მოღვაწე ქრისტიანი აფხაზეთში მოსაგრეობს, მრავალი – ცხინვალის მთებში და იქ, სადაც სალოცავია, სადაც წმიდა ადგილია, კანდელი მაინც ანთებულია და ევედრებიან ღმერთს.

ღმერთმა, ღირსი მამა გაბრიელის ლოცვით და ყოველთა წმიდათა მეოხებით, რომლებიც საქართველოს წმიდა მიწაზე მოღვაწეობდნენ, დალოცოს, დაამშვიდოს და გაახაროს სრულიად საქართველო და ჩვენი პატრიარქი, და ყოველი ქრისტიანი, ვინც ამ დიდებულ ტაძარში შემოდის.

ღმერთმა დაგლოცოთ!

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)

„საქართველოზე ღვთის მადლია დავანებული“

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

უფალი მეფობს!

ღვთის შეწევნით არის მთელი მსოფლიო, უფალი იცავს ყველა ერს: წარმართსაც, მწვალებელსაც და ურჯულოსაც; მაგრამ მაცხოვნებელი მადლი მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია, მართლადიდებლობაშია და სხვაგან – არსად.

დღეს სხვადასხვა რელიგიური ერთიანობის შესახებ სწავლება ვრცელდება; მათი აზრით, თოთქოს, მართლმადიდებლები, პროტესტანტები, კათოლიკეები და ქრისტიანად სახელდებული სხვა დენომინაციები, ერთი აღმსარებლობისანი ვართ; და მეტიც, მათი სწავლებით, თითქოსდა, ყველა რელიგიური ორგანიზაცია ერთ ღმერთს აღიარებდეს. მაგრამ ეს ასე არ არის.

ღმერთი სულით იდიდება, ხოლო ჭეშმარიტი სული მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია. მართლმადიდებელი ეკლესია ეს არის ერთი (ერთადერთი), წმიდა, საყოველთაო (კათოლიკე) ეკლესია. მართლმადიდებელი ეკლესია არ არის რომელიმე ცალკეული ერის ან ქვეყნის ეკლესია: არც საქართველოსი, არც რუსეთის, არც საბერძნეთის, არც სერბეთის ან სხვა რომელიმესი; არამედ, საღვთო სჯულის სწავლებით, მართლმადიდებელი ეკლესია არის საყოველთაო, ყოველთა და ყოვლისათვის. ამისთვის მოვიდა ქვეყნად უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, ამისთვის ეცვა ჯვარს მაცხოვარი ჩვენი და ამისთვის დაწესდა საეკლესიო დღესასწაულებიც, რომლითაც უფალი შეგვახსენებს კაცობრიობის გამოხსნას, ცხონებას და გადარჩენას.

თქვენ იცით, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, წილისყრით, საქართველო ერგო საქადაგებლად და წამოსვლა გადაწყვიტა; მაგრამ ამქვეყნიდან მისი გასვლის ჟამი მოწევნულიყო და უფალმა აღუთქვა ყოვლადწმიდა დედას, საქართველოსთვის: „არა გავწირო ერი ესე საზეპურო.“ – უფლის ეს აღთქმა არის ბედნიერება; ეს არის საქართველოს სულიერი ცხოვრების დასაწყისი; ეს აღთქმა იმედს გვაძლევს, რომ ჩვენ გადავრჩებით. და მიუხედავად დღევანდელი უმძიმე-

რუის-ურბნისის ეპარქიის მღვდელმსახურები

სი სულიერ-ფიზიკური მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი ერის დიდი ნაწილი ეკლესიურად არ ცხოვრობს – საქართველოზე ღვთის მადლია დავანებული. დედაღვთისმშობელი მუდამ ზრუნავს თავის წილხვედრ ივერიაზე და სწორედ ამ ზრუნვის შედეგია I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა საქართველოში; IV საუკუნეში – მოციქულთასწორ წმიდა ნინოს შემობრძანება და მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანას მოღვაწეობა; ხოლო VI საუკუნეში – იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წარმოგზავნა, რომელთაც დანერგეს ქართული საბერ-მონაზვნო ცხოვრება საქართველოში.

ჩვენ ღვთისაგან გამორჩეული ერი ვართ. თუმცა, ფიზიკურად საქართველო მცირე ქვეყნების რიცხვში ითვლება, მაგრამ ზეციურ სამყაროში საქართველო ყველაზე მრავალრიცხოვანი და აღმატებულია...

მაგრამ, დღევანდელი საქართველოს სულიერი მდგომარეობისათვის მინდა ვთქვათ. დღეს ჩვენი ქვეყანა სულიერად ორად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი ღვთის მადიდებელია და არის კიდევ ერის ურწმუნო ნაწილი, რომელიც მართავს ჩვენს ქვეყანას და რომლის მცდელობითაც, დღევანდელი საქართველო ქართული ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ მიდის; მცირე ჯგუფი უმრავლესობის წინააღმდეგ მოქმედებს. ჩვენ ტრადიციული ქვეყანა ვართ და ჩვენი ხალხის ცნობიერების ახალ მენტალიტეტზე გადაყვანა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით, მინდა შეგახსენოთ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელის საუბარი მის აღმზრდელთან, გიორგი ჭყონდიდელთან: აღმზრდელი მეფეს ურჩევს, რომ ქვეყნის მართვა ორ კანონზე ანუ სჯულზე უნდა დაფუძნდეს – საღვთო და საერო სჯულზეო. დავით აღმაშენებელი აღმზრდელს ჰკითხავს: – საღვთო სჯული ვიცი და საერო სჯული რა არისო? ჭყონდიდელმა უპასუხა: – საერო სჯული – ეს არის ქართული ადათ-წესებიო.

აი, სწორედ, ეს ის ტარდიციებია, რომელსაც დღევანდელ საქართველოში ყოველგვარი საშუალებით, საინფორმაციო თუ საგანმანათლებლო, სხვადასხვა ფორმებით ებრძვიან, და არავინ არის განმკითხველი. ხოლო ჩვენ, სასულიერო წოდებას, გვმართებს, რათა ხმა აღვიმაღ-

მზოვრეთის მამათა მონასტერი

ლოთ და ვამხილოთ სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციების ხელმყოფელი, ხელისუფალი იქნება იგი თუ სხვა რომელიმე სფეროს მოღვაწე. მაგრამ ჩვენი მხილება სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს, რამეთუ ჩვენ ცოდვილთა გამოსწორება, მათი სულის ხსნა, გვამოძრავებს და არა სიძულვილი. ჩვენი, სასულიერო პირების, მოვალეობაა მხილება და ამ უფლებას ვერავინ წაგვართმევს. ჩვენ იოანე ნათლისმცემლის გზას უნდა მივყვეთ, რომელმაც ძმის ცოლის შერთვისათვის ამხილა მეფე ირომდი; ჩვენ უნდა მივბაძოთ ათონელ ქართველ მამას, ბასილი რატიშვილს, რომელმაც უზნეობაში ამხილა მეფე დემეტრე და შემდგომ მეფემ თავდადებულის ღვაწლი გასწია; ჩვენ სიმართლის თქმას უნდა ვესწრაფოდეთ და ვამხილებდეთ იმ ხელისუფალთ, რომელნიც არა თუ ღვთის ნებით, არამედ ღვთის დაშვებით გვევლინებიან; რომელნიც ერის იმედს არ ამართლებენ და არც პატრიარქის ლოცვა-კურთხევას შეიწყნარებენ.

ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანის მიზანი ცათა სასუფევლის დამკვიდრებაა, რათა პირნათელნი წარვდგეთ წინაშე უფლისა... მაგრამ, წმიდა წერილის სწავლებით, რომელიც ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედია, ადამიანს არ შეუძლია ორი უფლის მონება. აი, ეს არის ჩვენი სულის ცხონების ამოსავალი წერტილი; ადამიანს არ შეუძლია, რომ ერთდროულად ემსახუროს ეშმაკსაც და ღმერთსაც. თუ ღმერთს ვცილდებით, მაშინ ეშმაკის ხელში ვართ ჩავარდნილნი და მისი მსახურნი ვხდებით; ხოლო ღმერთს თუ ვემსახურებით, მაშინ ეშმაკს და მის მსახურებს განვეშორებით. ადამიანთა კრებული, ზოგადად კაცობრიობა, ორ ნაწილად არის გაყოფილი: გონიერ და უგუნურ ადამიანებად. გონიერია ადამიანი თუ იგი საკუთარი სულისათვის ზრუნავს, თუ იგი მომავალზე, საიქიო ცხოვრებაზე ზრუნავს; ხოლო უგუნურია ის ადამიანი, რომელსაც ღმერთი დავიწყებია და თავის სულისათვის არ ზრუნავს. წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ასეთი ადამიანისათვის ბრძანებს: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვსა უგუნურსა და მიემსგავსა მასო“ – ეს უგუნურ ადამიანებზე ითქმის, რომელთაც დაუვიწყებიათ, რომ უკვდავი სული აქვთ, რომ არსებობს საიქიო ცხოვრება და არ ზრუნავენ მარა-

ბერობა – ეს მართლაც გამზადება არის ჯვარცმისთვის და სიკვდილისთვის. ჩვენ ჯვარს გავეკარით უფლის გამო, უფლის სახელისათვის და ამას დიდი ერთგულება სჭირდება, დიდი თავდადება, დიდი სიყვარული და ღმერთმა მოგვანიჭოს, რომ ბოლომდე დაგვეთმინოს უფლისათვის ეს ჯვარცმა.

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დიულისათვის. წმიდა წერილი გვასწავლის, რომ არის „ჰო, ჰო და არა, არა“. სხვა ყოველი, რაღაც მესამე, მათ შუა, არ არსებობს. ის, რასაც დღეს „დიპლომატიას“ არქმევენ – ეშმაკისაგან არის... ყოველი ჭეშმარიტი მსახურება, ნებისმიერი სულიერი თუ ხორციელი საქმე, ამ ორ ცნებას შორის არსებობს – „ჰო, ჰო და არა, არა“. ძველი დროის წმიდა მამები, წინასწარ ხედავდნენ ჩვენს დაცემულ მდგომარეობას. ერთი პატერიკის მიხედვით, წმიდა მამები საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ ბოლო ჟამის ბერ-მონოზვნობა ჩვენს საწინააღმდეგო საქმეებს აღასრულებსო და რომ მონოზვნობასთან მათ საერთო არაფერი აღარ ექნებათო. მაგრამ, მხოლოდ ერთი რამ აცხოვნებთ მათ – თუკი ეხსომებათ, რომ ღვთისაგან დაშვებული განსაცდელი და მწუხარება, მოთმინებით უნდა დაითმინონ და გადაიტანონო. ბოლო ჟამს ასეთი მონოზვნები ცხონდებიან და ჩვენზე უწინარეს დადგებიანო. – ასე რომ, ჩვენ, მართლაც, მეორედ მოსვლის წინარე პერიოდში გვიწევს ცხოვრება და იერარქთა მორჩილებით უნდა წარვემართოთ. თუ ქრისტიანი ფხიზლად არ ცხოვრობს, არამედ დაუდევარია და გულგრილი, ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ეშმაკის მორჩილებაში აღმოჩნდეს. ამდენად, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მოვლენა ღვთითაა ან ეშმაკით, სხვა, მესამე ძალა, არ არსებობს. ღვთის წყალობა და მადლი მიგვანიშნებს, ნებისმიერი მოვლენის წარმომავლობას, თუ ვისგანაა იგი.

ბანას წმიდა გრიგოლ ხანძთელის მონასტერი

დღეს მთელი კაცობრიობა გარეგნულ მხარეს აქცევს ყურადღებას, ხოლო შინაგანი, სულიერი მდგომარეობა კაცისა, მომსპარია და იგნორირებული. წმიდა მამათა სწავლებით, ქრისტიანი და მით უფრო, სასულიერო პირი თუ მაჩვენებლობითია და გარეგნული მხარით არის დაკავებული, მასში კვდება მთავარი – სიყვარული. პავლე მოციქულის სწავლით კი თუ ადამიანში სიყვარული მოკვდა, მკვდარიც რომ აღადგინოს მან ან მთა გადაადგილოს, სასწაულით, იგი წინაშე ღვთისა არა რა არს, ე.ი. არაფერს არ წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენ ნამდვილი და უბრალოები უნდა ვიყოთ. მაგრამ დღეს ამა თუ იმ მოვლენაზე სხვანაირი შეხედულებები ჩამოგვიყალიბდა. დღეს ჩვენ ვამაყობთ და გმირებად ვაღიარებთ ფიზიკურად ძლიერს, მოძალადეს, რომელიც დაუნდობლად ხოცავს ადამიანებს, ვინც მზაკვარია და ცბიერი. ასეთები სამაგალითოდ არიან წარმოჩენილი. დღეს ადამიანთა ცნობიერება შეიცვალა და გულწრფელ და გულუბრყვილო ადამიანებს დავცინით: „ბავშვს ჰგავს“, „ბავშვურად აზროვნებსო“; მაშინ, როცა, ადამიანის მთავარ ღირსებად სიწრფოება და გულუბრყვილობა მიიჩნევა. წმიდა წერილი გვასწავლის: თქვენ შორის ვისაც პირველობა უნდოდეს, იყოს იგი ყველას

ქოზიფას ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების მამათა მონასტერი (VII-IX სს.)

ჩვენში გამეფებულია პირმოთნეობა, კაცთმოთნეობა და პატივმოყვარეობა – სწორედ ეს არის დღევანდელი კაცობრიობის საშინელი სენი, რომელიც დაღუპვისაკენ მიაქანებს ადამიანს. სამოციქულო საკითხავი გვეუბნება და წმიდა მამებიც გვასწავლიან, რომ სულიერმა ადამიანმა ცოდვაში ჩავარდნილი უნდა ამხილოს. მხილების უფლება და საშუალება კი ყველას არა აქვს, რადგან ადამიანი თუ ვინმეს ამხილებს, მაშინ მან სიყვარულით უნდა ამხილოს მოყვასი. მხილება სიყვარულზე უნდა იყოს დაფუძნებული თუ გვინდა, რომ ნაყოფი გამოიღოს. და ამასთან, გონიერი ადამიანი უნდა ვამხილოთ, რადგან მხილებით, უგუნურს მტრად მსახურიო; ხოლო შემდეგ ვკითხულობთ: ბავშვს თუ არ მიემსგავსებით, ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებთო. მაშასადამე, ბავშვივით წრფელნი, უბრალონი და მარტივი უნდა ვიყოთ. მხოლოდ ასეთი სულიერი მდგომარეობით შევა ადამიანი ცათა სასუფეველში.

ქოზიფას მამათა მონასტრის პირველი წინამძღვრის, არქიმანდრიტ შიოს (ხარძეიშვილი - † 2006) სენაკი.

როდესაც ჩვენს აწინდელ მდგომარეობას ვხედავთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები ეშმაკის ხელში თოჯინებად იქცნენ. ეშმაკი ათამაშებს ადამიანს, ხან რადაცნაირად შემოსავს მას, ხან უცნაურ საქციელს ჩაადენინებს და უჩვეულოდ ამოქმედებს. ამ ყოველივეს კი ბოროტი სული აკეთებინებს ადამიანს და თანაც დაცინის, უხარია მისი დაცემა და დაპყრობა, რომელშიც ათასნაირ ვნებას, აზრს და ოცნებას აღძრავს, რითაც ღუპავს ადამიანს და დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება სულიერი სიფხიზლე...

ჩვენს სინამდვილეში გამეფებულია პირმოთნეობა, კაცთმოთნეობა და ამიტომ, ჭეშმარიტებაზე თვალს ვხუჭავთ. ერთმანეთს არ ვამხილებთ, რადგან პატივმოყვარეობით ვართ შეპყრობილი და მხილების ძალა არ შეგვწევს; რადგან სიყვარულის ნაკლებობა გვაქვს ან გაბედულება გვაკლია, რომ ადამიანს სიმართლე ვუთხრათ. დღეს გავიხდით. მრავალი ასეთი შემთხვევა ვიცით ისტორიიდან. მაგალითად, წმიდა იოანე ოქროპირმა, დედოფალი ევდოქსია რომ ამხილა, მან მოიძულა დიდი მღვდელმთავარი და კონსტანტინოპოლიდან გააძევა. მრავალი მსგავსი შემთხვევაა ცნობილი ისტორიიდან და ამისათვის სულიერი ცხოვრების ცოდნა გვმართებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწორ ლოცვაზე, რამეთუ ლოცვა სათნოებათა



ქოზიფას მამათა მონასტრის საძვალე

შორის უდიდესი სათნოებაა, რომლითაც ჩვენ ღმერთს ვუკავშირდებით,ღმერთს ვესაუბრებით; და ლოცვის მეშვეობით,ჩვენზე სულიწმიდის მადლი გადმოდის. მაგრამ ლოცვის დროს თუ ყურადღებას სწორად კითხვაზე ვამახვილებთ და ლოცვის შინაარს ვცილდებით,მაშინ ასეთი მლოცველი უფლის წინაშე საძაგელია; ასეთ ლოცვას უფალი არ შეიწირავს.

ქართველმა კაცმა კარგად დაარქვა ამქვეყნიურ ყოფას „წუთისოფელი". ძალიან მალე გადის დრო,მით უფრო – ამ ბოლო დროს; ჩვენ ვხედავთ, რომ წელიწადი, როგორც ერთი თვე, ისე გადის, თვე – როგორც ერთი კვირა, ხოლო ერთი კვირა – როგორც ერთი დღე. შემცირებულია დრო. ამდენად,მრავალზე გვმართებს დაფიქრება და პირველ ყოვლისა,საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: ღმერთს ვემსახურებით თუ მამონას? და აქედან გამომდინარე უნდა შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება...

ადამიანის სულის გადარჩენისთვის აუცილებელია თავმდაბლობა; ჩვენ სწორი განსჯის უნარი არ გვექნება, თავმდაბლობას თუ ვერ მოვიპოვებთ. თავმდაბლობის გარეშე ჩვენ ვერ ვცხობნდებით. თავმდაბლობა კი ღვთის წინაშე თავის ჭეშმარიტად მოდრეკაა: –შემიწყალე მე უფალო, რამეთუ ცოდვილი ვარ, რამეთუ შევცოდე. როგორც წმიდა მამები ამბობენ, ნამდვილი სიკვდილი მაშინ კი არ დგება, როდესაც სული და ხორცი ეყრება ერთმანეთს,არამედ მაშინ – როდესაც ადამიანი ღმერთს დაცილდებაო. ჩვენ, XXI საუკუნის ადამიანებს,აღარ გვაქვს უწინდელ ქრისტიანთა ღვაწლი,რადგან დიდ ამპარტავნებას მიცემია თანამედროვე ადამიანი; ხოლო ამპარტავან ადამიანს ღვაწლი აღარა აქვს: „თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიძს არცა ერთი". – ეს უფლის სიტყვებია და ნუ დავუპირისპირდებით უფალს; არამედ მცნებები და სჯულის კანონი დაიწერა ჩვენ საცხოვნებლად. ყოველივე საეკლესიო წეს-განგებანი დაადგინეს მსოფლიო შვიდი საეკლესიო კრების წმიდა მამებმა და ამ სჯულის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ, არამედ გვმართებს,აღვასრულოთ სჯული, რათა ღვთის მადლი იყოს საქართველოზე და გვქონდეს იმის უნარი, რომ გულით შევთხოვოთ უფალს, ჩვენი სულის შეწყალება.

ღმერთმა დაგლოცოთ!

მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)

ერთმორწმუნეობისათვის



მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ წმიდა ნიკოლოზობის დღესასწაულს! ეს დღე მთელი საქრისტიანო სამყაროს უდიდესი დღესასწაულია. წმიდა ნიკოლოზი ყველას შემწეა, ვინც კი მას თხოვნით მიმართავს. მისი ძალა და მადლი შეგვეწიოს.

წმიდა ნიკოლოზი 1700 წელზე მეტია, რაც დაუცხრომლად იღწვის ადამიანთა შესაწევნელად; რასაც მოწმობენ, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე ფაქტები. და რაოდენ სასიხარულოა და დიდად პატივდებული, ქართველი ხალხისთვის, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ვედრებით და მეოხებით, საქართველოს ზეციური ეკლესიის პატრიარქი გახლავთ წმიდა ნიკოლოზი, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავს ქართველი ხალხისათვის. მსწრაფლშემწე და მსწრაფლშემსმენელი წმიდა ნიკოლოზი არის უსამართლო ბჭობათა დამარღვეველი, ცილისწამებათა განმაქარვებელი, არამართლმადიდებლური, არაეკლესიური აზრების დამამხობელი; და მას უნდა ვევედროთ, რომ ქართველ ხალხს მოგვცეს სწორი განსჯის, ღვთივსათნო სულიერი აზროვნების უნარი; რამეთუ ღმერთმა შექმნა ცა და ქვეყანა, ყოველივე ხილული და უხილავი – „უფლისაა ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველი დამკვიდრებული მას შინა...“, – ამიტომ, წმიდა ნიკოლოზს უნდა შევთხოვოთ, მოგვანიჭოს ქართველ ერს სულიერი განსჯა, როგორიც ჩვენს წინაპარს ჰქონდა.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილი ეპიზოდი მინდა გავიხსენოთ, რომელიც თანამედროვე მდგომარეობისათვის ნიშანდობლივია. როგორც დიდი მამა, არ-

სენ ბერი, წმიდა დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი, გვაუწყებს: წმიდა მეფე დავითი ზედმიწევნით სწავლობდა საქართველოს და მსოფლიო ისტორიას, რათა წინამორბედთა შეცდომები არ გაემეორებინა. ამდენად, მსურს, გავიხსენოთ საქართველოს ისტორიის, კერძოდ, უდიდესი მეფის, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ის ეპიზოდები, რომელიც ჩვენი სინამდვილის ორიენტირად წაგვადგება:

წმიდა ვახტანგს, როგორც ცნობილია, დედა სპარსი ჰყავდა და მამა ადრე გარდაეცვალა. იმხანად, V ს-ში, ოსები შემოიჭრნენ საქართველოში და ვახტანგის და, ოჯახის წევრებთან ერთად, ტყვედ წაიყვანეს. მოგვიანებით, 15 წლის მეფე ვახტანგმა ლაშქარი შეკრიბა, ოსები დაამარცხა გამოიხსნა თავისი და, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. მემატიანის გადმოცემით, ყმაწვილი ვახტანგი საოცრად მორწმუნე იყო და იგი ყოველი ბრძოლის წინა ღამეს ლოცვაში ათენებდა. ღვთის შეწევნით, ჭაბუკმა მეფემ, ოსები რომ დაამარცხა, ჩრდილო კავკასიით გადავიდა დასავლეთში და საქართველოს იმ ნაწილში შემოვიდა, რომელსაც დღეს გაგრა, სოხუმი, სოჩა, ნიკოფსია ანუ ტუაფსე, გალი და ოჩამჩირე ეწოდება. – უძველესი საქართველოს ეს ნაწილი მაშინ ბერძნებს ჰქონდათ დაპყრობილი. წმიდა ვახტანგმა სასტიკად დაამარცხა დამპყრობელი და შემოიერთა მიტაცებული ტერიტორიები. მან განიზრახა ბერძნებისგან გამოეხსნა, აგრეთვე, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიები. ამ ომში მეფემ სპარსეთი, როგორც დედის სამშობლო, მოკავშირედ გაიხადა და მიტაცებული ტერიტორიები გაათავისუფლა. სწორედ მაშინ დაარსა ვახტანგ მეფემ ტაო-კლარჯეთის სატახტო ქალაქი არტანუჯი.

ისტორიის ამ პერიოდშიც, საქართველოს ხელში ჩასაგდებად მსოფლიოს ორი დიდი იმპერია: ბიზანტია და სპარსეთი ებრძოდა ერთმანეთს; ისევე, როგორც დღეს ებრძვის ერთმანეთს მსოფლიოს ორი უდიდესი იმპერია: „ნატოს“ ალიანსი და რუსეთი. საქართველოსთვის, ამ უნიკალური გეოპოლიტიკური რეგიონისათვის, ბრძოლა დღემდე არ წყდება, რადგან პოლიტოლოგთა და მეცნიერთა თქმით, ვინც საქართველოს ფლობს, ის კავკასიას ფლობს და ვინც კავკასიას ფლობს – ის ახლო აღმოსავლეთს აკონტროლებს, ხოლო ახლო აღმოსავლეთის მაკონტროლებელი კი – მთელ მსოფლიოს აკონტროლებს.

ამდენად, V საუკუნეში, ბიზანტიას საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ჰქონდა დაპყრობილი. და აი, საკვირველება: ვახტანგ გორგასალი, რომელიც სამშობლოს გამოსახსნელად, სპარსეთის მოკავშირე გახდა და ბერძნებს შეებრძოლა, მოწმე გახდა ორი მართლმადიდებელი ქვეყნის დაპირისპირებისა და მართლმადიდებელთა შორის სისხლისღვრისა; მან იხილა როგორ ნადგურდებოდა ეკლესიები, იხოცებოდა სამღვდელოება და ქრისტიანები, რასაც სპარსელები თავგამოდებით ახორციელებდნენ...

მაშინ ვახტანგ გორგასალთან, როგორც ქრისტეანთან, ორი ბერი მივიდა (აწ წმიდანად შერაცხულნი): პეტრე (მომავალში საქართველოს პირველი კათალიკოსი) და სამოელი (შემდგომში ეპისკოპოსი და პეტრეს გარდაცვალების მერე – კათალიკოსი). ისინი დიდი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფეები იყვნენ და მის საფლავს ემსახურებოდნენ. მღვდელმონოზვნებმა პეტრემ და სამოელმა ვახტანგ მეფე სპარსელებთან მოკავშირეობაში ამხილეს და ქრისტიანთა სისხლის ღვრაში. ვახტანგ გორგასალმა თავი იმართლა და თქვა: რომ სამშობლოს გათავისუფლება უნდოდა დამპყრობელთაგან, რომ ბერძნებს უკანონოდ ჰქონდათ მიტაცებული და დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიები: ნიკოფსია (დღევანდელი სოხუმი, გაგრა და მთელი ზღვისპირეთი) და ტაო-კლარჯეთი (რომელიც ამჟამად თურქებს უპყრიათ). ღირსმა მამებმა განუმარტეს მეფეს, რომ მიზნის მისაღწევად, ის არას-

წორ გზას დადგომოდა; რომ იგი უსჯულო სპარსელთა ხელით, ქრისტიანთა სისხლს ღვრიდა და რომ ერთმორწმუნეთა შორის ბრძოლაში, ორთავ მხრიდან ქრისტიანთა სისხლი იღვრებოდა. წმიდა მამებმა აუწყეს, რომ ღვთისათვის ეს ომი მოსაწონი არ იყო.

ისტორიკოს ჯუანშერის გადმოცემით, იმ ღამით, ლოცვის შემდგომ, მეფე ვახტანგმა საოცარი ხილვა ნახა: ბერებმა, პეტრემ და სამოელმა, ვახტანგ გორგასალი წარუდგინეს გრიგოლ ღვთისმეტყველს და მისთანავე, წმიდა ნინოს და ბიზანტი-

სხალთის ღვთისმშობლის შობის ტაძარი (X-XII სს.)

ის კეისარს. დიდი წმიდა მამა, გრიგოლი, განურისხდა მეფე ვახტანგს და უთხრა, რომ სიკვდილით დასჯას იმსახურებდა, რადგან ქრისტიანები დახოცა; მაგრამ „ამის ლოცვამ გიხსნაო“ – და წმიდა ნინოზე მიუთითა. შეძრწუნებულ და მონანულ მეფეს გრიგოლ ღვთისმეტყველმა უთხრა, რომ იგი უღმერთო, ურჯულო ხალხის მოკავშირეა და სასწრაფოდ უნდა გაწყვიტოს მათთან კავშირი. საკვირველ ხილვაში, წმიდა გრიგოლმა მეფე შეაგონა, რომ ბიზანტიის კეისარს დამეგობრებოდა და დამოყვრებოდა; და აღუთქვა, რომ საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი, და ავტოკეფალური გახდებოდა. აგრეთვე, მეფეს კურთხევა მისცა, რომ პეტრე კათოლიკოსად ეკურთხებინა, ხოლო სამუელი – ეპისკოპოსად. შემდეგ წმიდა გრიგოლმა მათ წინაშე აღმართულ ჯვარს მოხსნა გვირგვინი, დაადგა ვახტანგ გორგასალს და უწინასწარმეტყველა: – შენ ქრისტესთვის წამებული იქნები და ქრისტიანობის დასაცავად, სპარსეთთან ომში აღესრულებიო.

ხილვით გაოგნებულ მეფეს დილით ცხადლივ ეახლნენ ღირსი მამები: პეტრე და სამოელი, რომელთაც ზუსტად უამბეს მეფეს ის,რაც მას სიზმრად ეჩვენა. გრიგოლ ღვთისმეტყველის წინასწარმეტყველებაც გაიმეორეს, რომ: პეტრე კათალიკოსად უნდა დაედგინა, ხოლო სამოელი – ეპისკოპოსად. მაშინ ვახტანგ მეფემ ირწმუნა, რომ სიზმარი ღვთისაგან იყო. მან ისმინა წმიდათა შეგონება და უმალ შეცვალა ქვეყნის პოლიტიკა – სპარსელებთან კავშირი გაწყვიტა, ბიზანტიელებს დაუმეგობრდა და მალე, კონსტანტინეპოლის შუამავლობით, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად გამოცხადდა, რომლის პირველ საჭეთმპყრობლად ანუ კათალიკოსად აკურთხეს პეტრე, ხოლო სამოელი – ეპისკოპოსად. მეფე ვახტანგმა კი ბიზანტიის კეისრის ასულზე იქორწინა და საქართველომ მშვიდობიანი გზით დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები.

ისტორიის ეს საოცარი ფურცელი დღეს უაღრესად საგულისხმოა და ორიენტირს გვაძლევს. დღეს საქართველო გეოპოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონია, რომლისთვისაც იბრძვის ორი ზესახელმწიფო: ერთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, მეორე კი – „ნატოს“ ქვეყნები, სა-

დაც ყოველგვარ წარმართობასა და მაზ-
დეანობაზე გაუგონარი, უზნეო კანონები
მოქმედებენ; სადაც ქვეყნის პირველი და
მეორე პირიც აღფრთოვანებით აცხადებს,
რომ მისმა ქალიშვილმა ცოლად შეირთო
ქალი. „ნატოს“ მოკავშირე, ეს ის ქვეყნებია,
სადაც პრიორიტეტად აცხადებენ ჰომოსე-
ქსუალიზმს ანუ იმას, რასაც ჩვენ სოდომ-
გომორის ცოდვას ვეძახით. და ამ ცოდვის
დაკანონებას სხვა არაფერი ეწოდება თუ
არა სატანიზმი. დიახ, ჩვენ უნდა გავაკე-
თოთ არჩევანი მართლმადიდებლობასა
და სატანიზმს შორის, მართლმადიდებ-
ელ და სატანისტურ ქვეყნებს შორის. ამ
უდიდესი გეოპოლიტიკური არჩევანის წი-
ნაშე დგას დღეს საქართველო. რუსეთს,
ისევე, როგორც თავის დროზე ბერძნებს,
უამრავი ტერიტორია აქვს მიტაცებული
საქართველოსი – მთელი აფხაზეთი და
სამაჩაბლო. იმხანად ბიზანტია იყო საქა-
ართველოს დამპყრობელი, დღეს – რუსე-
თია ჩვენი დამპყრობელი. მაგრამ, ისევე,
როგორც ბიზანტია, რუსეთი მართლ-
მადიდებელი ქვეყანაა; ხოლო სპარსეთზე
გაცილებით ანტიქრისტიანულია დღევან-
დელი „ნატოს“ ქვეყნები. და აქ გვმართებს
გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ ვახტანგ
გორგასალისათვის მიცემული შეგონების
და მუქარის გახსენება. ნუ გვავიწყდება,
რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლე-
სიის და ყველა ადგილობრივი სამოცი-
ქულო მართლმადიდებელი ეკლესიის
წირვაზე, ქრისტეს უხრწნელ სისხლსა და
ხორცს ვეზიარებით და ქრისტეს სხეუ-
ლის ნაწილები ვხდებით. ამდენად, ჩვენ, ქა-
ართველები და რუსები ერთი პიროვნების,
იესო ქრისტეს, განკაცებული ღმერთის, სხ-
ეულის ნაწილები ვართ...

თუმც კი ხშირად იტყვიან, რომ რუსეთმა
დაგვიპყრო, წაგვართვა ტერიტორიებიო...
მაგრამ, ხედავთ?! – ბერძნებმაც იგივე
ცოდვა ჩაიდინეს; ხოლო გრიგოლ ღვთისმ-
ეტყველი ქართველებს მოგვიწოდებს, რომ
უღმერთოებთან კავშირი გავწყვიტოთ
და მართლმადიდებლებთან გამოვნახოთ
საერთო ენა; რომ დავმეგობრდეთ მართლ-
მადიდებლებთან და ყველაფერი მოგვარ-
დება; ქრისტიანები ნუ ხოცავთ ერთმანეთ-
სო – გვითხრა გრიგოლ ღვთისმეტყველმა
და ეს ღვთის სიტყვაა, რომლის გულისხ-
მისყოფაც გვმართებს.

კიდევ ერთი შემთხვევა გავიხსენოთ
საქართველოს ისტორიიდან, რომელიც
ამავე პერიოდში, დიდ ქრისტიან მეფე
გუბაზს დაატყდა თავს. იმხანად საქა-
ართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი
კვლავ ბერძნებს ჰქონდათ ოკუპირებული.
პეტრას ციხეში (დღევანდელი ციხისძირი)
ბერძენთა გარნიზონი იდგა და მთელი
შავიზღვისპირეთი მათ ხელში იყო. იმ
დროსაც ორი იმპერია იბრძოდა საქართ-
ველოს დასაპყრობად: ქრისტიანი ბიზან-
ტია და ურჯულო სპარსეთი. ბიზანტიელ-
მა სარდლებმა ღალატით მოჰკლეს გუბაზ
მეფე, რამაც აღაშფოთა ქართველი ხალხი
და ორად გაიყო მათი აზრი: ერთი ნაწილ-
ისათვის მიუღებელი იყო დამპყრობელი,
რომელმაც ღალატით მოკლა მათი საფი-
ცარი მეფე გუბაზი. და მათ გადაწყვიტეს,
ბერძნებთან გაეწყვიტათ კავშირი და
სპარსეთს დამოყვრებოდნენ; ხოლო მეორე
ნაწილის აზრით, ერთმორწმუნე საბერ-
ძნეთთან კავშირი უფრო მართებული იყო;
და დაასკვნეს, რომ მიუხედავად ბერძენთა
უსამართლობისა, ქართველები მაინც რწ-
მენის ერთგულნი უნდა დარჩენილიყვნენ.

გაიმართა კრება, სადაც ორი თვალსაზ-
რისის წარმომადგენლები თავიანთ პოზი-
ციას ასაბუთებდნენ. ქრისტიანული პოზი-
ციის წარმომადგენლებმა განაცხადეს:
რომ მიუხედავად ბერძენთა ღალატისა და
მათი სასიქადულო მეფის მკვლელობისა,
მიუხედავად მათი დამპყრობლური პოლი-
ტიკისა, – ქართველებისათვის მიუღებელი
იყო, ბერძნებისათვის ზურგის შექცევა და
მათთან ურთიერთობის გაწყვეტა; რადგან
ანტიქრისტიანულ სპარსეთთან ერთობა,
მთლიანად შეცვლიდა მათ სულიერ-კულ-
ტურულ ცხოვრებას, მათ სააქაო და საი-
ქიო ყოფის რაობას; და ღვთივგანდგომი-

ლობის სიბნელეს მიცემულნი, მომავალში ვეღარც მიცვალებულს დამარხავდნენ, ქრისტიანულად, ვეღარც შვილებს მონათლავდნენ, საღმრთო წეს-განგებულებით, ვეღარც ეკლესია-ტაძრებში მიიღებდნენ სულიერ საზრდელს და გახდებოდნენ ურჯულოები; შესაბამისად – ეროვნულობასაც დაკარგავდნენ...

და აი, ქრისტიანული თვალსაზრისის მომხრეებმა კრებას მიმართეს, რომ აერჩიათ: მოთმინებით მოკიდებოდნენ ბერძნების ჩადენილ ამ საშინელ ცოდვას, სული გადაერჩინათ და დარჩენილიყვნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებად – თუ სპარსელებს მიმხრობოდნენ, რომლებიც სარწმუნოებას და ეროვნულ სახეს ანუ სულიერ და ფიზიკურ მეობას სრულიად დააკარგვინებდნენ, გადააგვარებდნენ ქართველობას და გააურჯულოებდნენ? – თავის მნიშვნელობით ამ უდიდეს კრებაზე მთელმა ეგრისმა, მთელმა საქართველომ, გადაწყვიტა, რომ მიუხედავად ბერძენთა მზაკვრული ქმედებებისა, ისინი მაინც რწმენის და ეროვნულობის ერთგულნი იქნებოდნენ და დარჩნენ ბერძენთა მოკავშირეებად, ხოლო სპარსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს. აი, ამ გადაწყვეტილებამ გადაარჩინა საქართველო.



ხულოს ანდრია პირველწოდებულის ტაძარი

სარწმუნოებრივი მადლით, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალის და წმიდა მეფეთა მადლით არის, რომ დღეს ჩვენ ქართველები გვქვია. სამწუხაროდ, ის, რაც V საუკუნეში, უფრო ადრეც და შემდგომ საუკუნეებშიც ესმოდა ქართველ ხალხს, დღეს აღარ ესმის გარკვეულ წრეს; მაგრამ ერი, ქართველი ხალხი, დღესაც ასე ფიქრობს. დღეს ავრცელებენ აზრს, რომ ქართველი ხალხის ოცნება ევროპასთან კავშირია. თითქოს, ეს ჩვენი ისტორიული ოცნებაა, მაგრამ ეს სიცრუეა. ჩვენ ვიცით ჩვენი ისტორია; ჩვენ ვიცნობთ წმიდა ვახტანგის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის ცხოვრებას. ვიცით ვახტანგ VI-ის ტრაგედია, რომელიც ევროპასთან კავშირის დამყარებას აქტიურად აპირებდა, მაგრამ ბოლოს რუსეთს შეაფარა თავი, სამეფო კართან ერთად და იქვე გარდაიცვალა. სულხან-საბა ორბელიანმაც მიმართა ევროპას და კათოლიკობის გარდა, იქიდან არაფერი წამოუღია. მან მოგვიანებით შეინანა თავისი საქციელი, რუსეთში წავიდა და დონის მონასტერში დაეფლა. მთელი ჩვენი ისტორია მართლმადიდებელ ქვეყნებთან მოკავშირეობისკენ არის მიმართული.

წმიდა დავით აღმაშენებელის მოწვეული რუის-ურბნისის კრებაც გავიხსენოთ, რა საოცარ განაჩენს წარმოთქვამს: „ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიანო“ და „საუკუნომცა იყოს მათი ხსენებაო“, ხოლო ყოველი არამართლმადიდებელი „შეჩვენებულ არიანო“. და რატომ უნდა ჩავიგდოთ ამ წყევლა-კრულვაში თავი?! თუკი ქართველებმა

მაზდეანი სპარსელები არ მივიღეთ მოკავშირეებად, დღეს ის ევროპა და „ნატო“, რომლებიც არა მარტო ანტიქრისტიანები არიან, არამედ წარმოუდგენელ უზნეობას მისცემიან და სოდომ-გომორულ ცოდვას აკანონებენ, ქვეყნები – სადაც ერთსქესიანთა „ქორწინება“ სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმად მიიჩნევა – როგორ უნდა მივიღოთ და გავხდეთ მათი მოკავშირეები?! ჩვენს წინაშე უდიდესი ალტერნატივაა. ჩვენ პირველ რიგში ღვთის უდიდესი იმედი გვაქვს, რომ არ დაუშვებს უფალი ამ სოდომ-გომორში და ჯოჯოხეთში ქართველი ხალხის გადაჩეხვას...

ხშირად ამბობენ: რუსეთმა ტერიტორიები წაგვართვა, აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა, სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის ავტოკეფალია გაგვიუქმა... – მაგრამ, გავიხსენოთ ისტორია, ბერძნებიც იგივეს აკეთებდნენ, და განა ჩვენ მათთან ურთიერთობა გავწყვიტეთ?! ჩვენ ხომ წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები უნდა გავიხსენოთ: თავი გაანებეთ ეშმაკის მოციქულებს და ყველაფერი კარგად იქნებაო – მისი პირით ხომ ღმერთმა გვიჩვენა გზა?! როდემდე შეიძლება ათეისტად დარჩენა?! რამდენგზის მიდრკა ჩვენი ხალხი უსჯულოებასა და სოდომ-გომორში, იმდენჯერ დავისაჯეთ, მართლმადიდებელისავე ხელით. ისტორიამ გონება უნდა გაგვინათლოს, ჭკუა გვასწავლოს.

ჩვენი გზა არის წმიდა მეფეთა: წმიდა მირიანის, წმიდა ვახტანგის, წმიდა დავით აღმაშენებლის და სხვა ქართველ მეფეთა გზა და არა უღმერთო,ვაი პოლიტიკოსებისა, რომლებიც პირად ინტერესებს ანაცვალებენ ქვეყნის ინტერესებს და ერის გადაჩეხას ცდილობენ.

დღეს არის წმიდა ნიკოლოზის დღე, წმიდა ნიკოლოზი უსამართლო ბჭობათა დამარღვეველია და განაქარვოს ყოველგვარი უკუღმართი და ანტიქრისტიანული აზროვნება საქართველოში, ამინ!

თუ ჩვენ დამოუკიდებლობა გვინდა – ჯერ ღმერთთან უნდა ვიყოთ; თუ ჩვენ თავისუფლება გვინდა – ღმერთთან უნდა ვიყოთ. ფსალმუნი ამბობს: „აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი!“ შემდეგ ამბობს: „უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს...“ (თავის ერს მოსცეს ძალაო); „უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. თუ ჩვენ გვინდა მშვიდობა და ძალა, უფალი ამბობს, მაშინ ჩემი იყავიო. ჩვენ გვინდა მშვიდობა და ძალა, მაგრამ არ გვინდა, რომ ღმერთთან ვიყოთ. ზოგი გმობს ღვთის სახელს – მათ თავის ჭკუაზე უნდათ ყოფნა, არ უნდათ ქრისტიანული ცხოვრება; არ უნდათ გარკვეული შეზღუდვები. მაგრამ, ადამიანო, აღვირი უნდა ამოსდო შენ შენს ვნებებს. წმიდა დავით მეფსალმუნე ამბობს: რომ შეიყვარა ღვთის მეგობრები და მოიძულა მისი მტრები – ჩვენ კი ეს არ გვინდა, ჩვენ ღვთის მონება და მისი შვილად ყოფნა არ გვინდა; არამედ, ვნების მონობა გვინდა, დრო გვინდა ვატაროთ – და არასწორი, ხორციელი აზროვნებისგან, მოდის ეს ყველაფერი.

თუ ჩვენ ღმერთთან ვიქნებით, მაშინ აღარავინ გვჭირდება – არც ჩრდილოეთი, არც სამხრეთი, აღარც აღმოსავლეთი და არც დასავლეთი. უფალი გეუბნება, შენ ნუ გახდები ერეტიკოსების, უზნეოების, არაქრისტიანული ქვეყნების მეგობარი; ნუ დაუპირისპირდები ქრისტიანულ ქვეყნებს, თორემ სასტიკად დაისჯებიო. – ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის. ვახტანგ გორგასალია ამის ბრწყინვალე მაგალითი. დაე, წმიდა ნიკოლოზმა ჩვენს ხალხს თვალები აუხილოს და სწორ გზაზე დააყენოს, ამინ!

ღმერთმა დაგლოცოთ! გაიხარეთ!

ნილოს სინელი

სწავლა განმყვანებელი განხრწნადთაგან და შემაერთებელი უხრწნელთა თანა

გადმოწერილია ხელნაწერიდან 60 (გვ. 291-294). როგორც ჩანს, ეს არის ძეგლის ბოლონაკლული ნუსხა. ხელნაწერის 294-ე გვერდზე ტექსტი წყდება; ხოლო 295-ე გვერდზე უკვე სულ სხვა თხზულება (ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლე) იწყება. ძეგლი ქვეყნდება პირველად.

წმიდა ნილოს სინელი

• მისივე სხუაჲ სწავლაჲ განმყვანებელი განხრწნადთაგან და შემაერთებელი[1] უხრწნელთა თანა

• გზა სათნოებათა მიმართ კეთილ და მოკლე არს ლტოლვაჲ საწუთოჲსა ცხოვრებისაგან:

• უკმს გულის-მოქმელსა უხრწნელთასა,არა რად შერაცხვაჲ განხრწნადთაჲ ამათ:

• უკეთუ ჭეშმარიტისა ცხოვრებისა გსურის,მარადის მოელოდე კაცობრივსა სიკუდილსა:

• მოიძულე აქაჲ ესე ცხორებაჲ რამეთუ ხედავ ურმის თუალისა მისისა დაუპყრობელად[2] მოქცევობასა:

• ნუ გსურის მოკუდავთა კეთილებისათჳს, რომელთა მოგებაჲ წარწყმედად არს, და საჴმარებაჲ წარმავალ:

• ეცინოდე შუბულთა, და გელმოდენ ძჳრხილულთა თანა,რამეთუ ესე სასყიდლის, ხოლო იგი ფილოსოფოსობის მომატყუებელ არს:

• მოთმინებასა იღუწიდ, რამეთუ მის მიერ უწყით გამოცდაჲ მოწამეთაჲ,ვინათგან ჩვენგანცა იძიების წამებაჲ სჳნიდისისაჲ:

• ყოვლისა წინა პატივსცემდ სულსა შენსა და სათნოებისა სრულებაჲ უშრომელად აღესრულების:

• ყოველნივე აქანი განხრწნად, ხოლო სული უკუდავ არს ვინაჲცა შეჰგავს[3] განხრწნადთასა წინა პატივისცემაჲ უკუდავებისაჲ:

• განემზადე შემაწუხებელთა მიმართ და უმრავლესი შეიძინო:

• ნუ ეძიებ ღმრთისაგან საწადელთა, არამედ მხოლოდ მარგებელთა, რამეთუ მათ დაღათუ ითხოვდე არავე მოგეცნენ, და მოიხუნე თუ განიხრწნებიანვე:

• ნუ აბრალებ სიგლახაკესა, რამეთუ მიმოგანუბნეველ სჯულისა ჰყოფს მოღუაწესა:

• ნუ იშუბ სიმდიდრითა, რამეთუ ზრუნვანი მისნი მრავალ-გზის უნებლებითცა განაშორებენ კაცსა ღმრთისაგან:

• მოახს აღსასრული უდები, განემზადებოდენ გუბმათა მიმართ:

1. ხელნაწერი „შემარერთებელი“.

2. ხელნაწერში ეს სიტყვა ხაზსზემოთაა ჩამატებული.

3. ხელნაწერშია „შეჰგავ“.

• არა შორს არს მკაჲ ვინაჲცა განჴ-
ფხურნეთ ეკალნი სულისა აგარაკისაგან:
• არარაჲ დაეფარვის მოსაჯულსა, ვი-
ნაჲცა ცუდად სიტყუად ვისწრაფით მცოდ-
ველნი:
• პირველ კაცთასა შეირცხჳნე ანგე-
ლოზთაგან, რამეთუ მრავალნი არიან ჩვენ
თანა, და ყოვლისა ბილწისა საქმისაგან
განეყენე:
• ზრუნევდი სასწორსა მსაჯულისასა,
და ყოველივე განაგდე რაჲცა რაჲ არს შენ
თანა საწუთოჲსა ბიწთაგანი:
• ზღვევად შეჰრაცხე მოცალებაჲ, და
განსუენებაჲ. და ისწრაფე ქმნად რასმე
რომლისა მიჴდაჲ გუფგულების:
• მარადის იგონებდ საწუთოჲსა უმტ-
კიცობასა ვერამან მისგანმან[4] შეუძლოს
განცდაჲ შენი:
• ჰაეროვნებანი ქუეყანისანი და წუთ
ჟამნი ნუ შეგაქცევენ შენ, რამეთუ სამჴედურ
არიან. თევზებრ მონადირე სულისა:
• ილოცევდ არა შესლვად განსაცდელ-
თა, ხოლო შეხჳდე რაჲ აჩუფნე ახოვნებაჲ:
• ნუ ოდეს უგულებელს-ჰყოფ ცრემლ-
თა გლახაკისათა, რაჲთა არა უგულებელს-
იქმნენ ცრემლნი ლოცვისა შენისანი:
• სიბრძნისმოყუარებაჲ არს მონაგებ
უპირატეს კაცთათჳს, რომელსა მხოლოდ
შობილობით მარტოდ მარტოსა თანა ჰნე-
ბავს ყოფაჲ მომგებელსა მისსა თანაჲ
• სამოსელ ღმრთისა არს სათნოებაჲ,
ამას ქსოვდი, და იქმნე შემმოსელ არსთა
შემმოსელისა:
• რაოდენი ქუეყანასა ზედა წარიპარ-
ვის მას მუშაკობდ ცათა შინა, რომელი იგი
არა შევალს თითთა შინა მპარავთასა:
• ჯმნაჲ ჯერ არს შუფბისაგან, რამეთუ
მიიზიდავს საქმედ მათდა რომელთაგან იქმ-
ნებიან სულთქუმანი შემდგომად განფრთხო-
ბის:
• უმჯობეს არს მოძაგებაჲ ჴორცთ-
მოყუარეთა გულისსიტყუათაჲ, რამეთუ
ჴორცთა განხრწნიან და სულთა შეაბილ-
წებენ:
• არცაღა ქუეყანისა კეთილნი თჳნიერ
შრომისა აღესრულებიან, უკეთუ ზეცისათა-
გან მივდრკეთ შრომისათჳს:
• გნებავს თუ თჳნიერ შრომისა ქმნაჲ
სათნოებისაჲ, გულის-ჴმა-ყავ შრომათ წუთ
ჟამობაჲ და მოსაგებელთა საუკუნეობაჲ:

4. ხელნაწერში ეს სიტყვა გადასწორებულია.

• რაოდენნი ჴორცთა გემოვნებისა
მიმართ განილევიან გულისჴმაყვედ მათ გე-
მოჲსა წუთჟამობაჲ და მოსაგებელისა საუ-
კუნეობა:
• რაოდენთა ცხორებაჲ ბილწ იყოს პი-
რუტყულ სადმე არს სულიცა და თანა აც
მათ გლოვაჲ, ვითარცა თავთა თჳსთაგან და
ჭირვებულთა:
• ყოველივე განხრწნადად ჰგონე ხოლო
სათნოებაჲ უხრწნელად:
• უგულებელსყვენ სახენი რაოდენნი
პირუტყულ ჰყოფენ კაცსა და მოიგე სათ-
ნოებაჲ რამეთუ ესე ღმრთად გამოაჩინებს[5]
ადამს სიბრძნისმოყუარებისა[6] მიერ:
• იპყრობ თუ მუცელსა, იპყარ ენაჲცა,
რაჲთა არა ერთისა მის მონა იყო, ხოლო
მეორისაგან უგნურებით თავის-უფალ იყო:.
• შეიყუარე ღმერთი და მის ძლით
ნუ გელმის, სახლეულთა მიმართ, ნუ სადა
მისისავე ჴმისა-ებრ უღირს მისსა იპოო, ვი-
თარცა არა გინდეს:
• თავს იდებდ ჭირთა, რამეთუ მათ შინა
არიან გჳრგჳნნი[7] მოღუაწეთანი:
• ნეტარ არს თავსდებაჲ ბოროტისაჲ[8],
ხოლო ქმნაჲ სამ[9] უბადრუკ, რამეთუ ქრისტეს
თანა მკჳდრ არს თავს-მდებელი, ხოლო მო-
ქმედი თანა-მკჳდრ ეშმაკისა:
• კეთილ-არს პური მარხვისაჲ, ვინაჲთ-
გან აზნაურ-არს ვნებათა საფუვარისაგან:
• წმიდაჲ არს[10] ტაბლაჲ ლოცვისაჲ, რა-
მეთუ მოიზიდავს ჩუენდა წმიდასა წმიდა-
თასა[11]:
• ნუ გგონიეს სიმართლე გარეწარ-ყო-
ფად სათნოებისათჳს, რამეთუ თჳნიერ მისსა
ყოველი საქმე არა წმიდა არს[12]:
• სთესავ თუ გლახაკთა ზედა, თავისა
თჳსისაჲ სთესე, რამეთუ უცხოთაჲ ღუარ-
ძლისასა უმწარეს არს:
• ბრმა არს მოწყალე, უკეთუ მართალ
არა იყოს, რამეთუ მუშაკობს აგარაკსა, რომ-
ლისა მომკაჲ ვერ ძალ-უც:
• მარადის ვიდრემე მოელოდე, ხოლო

5. ხელნაწერის ფურცელი დაზიანებულია, ხაზგასმული ტექსტი კარგად არ იკითხება.
6. ხელნაწერში ამ სიტყვის დასაწყისი ასოები გაცხოველებულია შავი მელნით.
7. ხელნაწერშია „გრ ̄გნნი“.
8. ხელნაწერშია „ბორ̄ტ̄ისაი“
9. ხელნაწერშია „სამ“
10. ხელნაწერშია „წ ̄რს“
11. ხელნაწერშია „წ ̄აწ ̄თასა“.
12. ხელნაწერშია „არა წ ̄რს“

ნუ გეშინინ სიკუდილისაგან, რამეთუ ჭეშმარიტ ხატ ფილოსოფოსობისა არიან ორნივე ესე:

• აზმნობდ სათნოებასა არა რაჲთა შეაცთუნნე, არამედ რაჲთა სარგებელ ეყო მხედველთა:

• უჴმს თქუმაჲ კეთილთაჲ არამოქმედსაცა კეთილთასა, რაჲთა იწყოს საქმედცა სიტყუათაგან შეკდიმებულმან:

• ზეცისა თუ გსურის ნუმცა რაჲ არს შენი და ქუეყანისაჲ, რამეთუ ესე არა მიუშუჱბს მისსა მიმართ აღფრინვებად:

• ნუ გნებავს განმდიდრებად გლახაკთ მოყუარებისა ძლით, რამეთუ რომელ იგი აქუნდენ, მათგან ასწავებს მართალსა ღმერთი, ყოფად მოწყალებისა:.

• უკუეთუ სასუმელი გრილისა წყლისაჲ განამართლებს მოწყალესა, რაბამი მისაგებელი მიელის მას, რომელმან ყოველივე განაბნიოს გლახაკთა ზედა:

• დედა სათნოებათა სიწმიდე და თანალმობაჲ, ვინაჲცა არა არს ქრისტეს მჴდარყოფაჲ, თუნიერ ამისსა, ანუ იმისსა:

• ნუ უდებ-ჰყოფ თანა-ლმობასა, რამეთუ ამან გარდამოიყვანა სახიერი[13] იგი ზეცით ქუეყნად:

• ნუ შეურაცხ-ჰყოფ სიწმიდესა, რამეთუ მის მიერმან ორდანომან წარმოუდგინა კაცთა ჩუენთჳს ჴორცშესხმული იგი:

• ნუ აღვიდგენთ მტერსა, რამეთუ მსაჯული მართალი ცათა შინა მოგუგიეს:

• ნუ გნებავს განმდიდრებაჲ, ნუ შუჱბაჲ, ნუცა დიდებულებაჲ, რამეთუ ესენი საწუთოჲსა ხრწნილება არიან, ხოლო ჩუენ არა ვართ ვითარცა განხრწნადნი:

• მკუდარსა ზედა ნუ ჰგოდებ, რამეთუ საზოგადო არს გზაჲ იგი, და სანატრელ არს რომელმან უსწროს:

• მცოდველსა ჰგოდებდი ნუ დაგლახაკებულსა, რამეთუ ესე გჳრგჳნოსან იქმნების, ხოლო იგი დაისაჯების:

• ეცინოდე ურმის თუალსა საწუთოჲსასა, დაუპყრობელად მგორვალესა, და ეკრძალე მთხრებლსა მას რომელსა შინა შთააგდებს, იგი მას ზედა მძინარეთა:

• ეტყოდე ღმერთსა მრავლად, და კაცთა მცირედ. ხოლო ესე ორივე წურთითა შჯულისაჲთა წარიმართო:

• საბანელ კეთილ სულისა არს ცრემლი ლოცვისაჲ. ხოლო შემდგომად ლოცვისა იჴსენებდ, თუ რაჲსათჳს სცრემლოოდე:

• ძლიერთა ამის სოფლისათა ნუ ჰნატრი, რამეთუ ძლიერნი ძლიერად განიკითხნენ, ვინაჲცა მათ უფიცხესი მსაჯული აქუნდეს:

• უჴმს ადამს შრომაჲ არამედ ჩუჳნ შრომითა შჯულსა შინა მოსაგებელსა შევიძენთ:

• საჭირო არს ევაჲს[14] დაჭირვებაჲ მკჳდრთა მისთაჲ, არამედ ჩუჱნ რაჟამს მადლობით თავს ვისხნეთ ჭირნი კურთხევად ჩუჱნდა შეიცვალების წყევაჲ მისი:

• სანთლად საქმეთა მიმართ სჳნიდისსა იჴუმევდი, რამეთუ ესე გიჩუჱნებს შენ, რომელნი რაჲ კეთილად, ანუ რომელნი ბოროტად გექმნენ ცხოვრებასა ამას შინა:

• თავნი ჩუჱნნი განვიკითხნეთ, და მსაჯული დაგებულ-არს ჩუჱნდა. რამეთუ ვითარცა სახიერსა უხარის ცოდვილისაჲ, ხედვიდეს რაჲ განბნევად ტჳრთსა:

• რაჲცა რაჲ ბიწი ქმნილ-არს ჩუენ-გან სინანულითა განვიბანოთ, რამეთუ გჳჴმს ხატისა სიწმიდისათჳს ღონეყოფაჲ:

• პირველ განშიშულებადმდე განვიკურნნეთ წუთხნი სულისანი, რაჲთა წამალთა მიერ შევიძინოთ თანა წარსლვაჲ გუჱმათა:

• ვითარ იგი შეკრულთა ძნელ უჩნს სლვაჲ ეგრეთვე სრბაჲ სათნოებისაჲ სიწმიდით ვერ უძლავს სოფლიოთა საქმეთა თანა შეთხზულთა:

• უჴმს მოძულებაჲ ცოდვისაჲ რამეთუ ესრეთ დაღათუ ვისმე უბრკუმეს მახეთაგან მისთა, არამედ მყის კუალად ეგოს თავადვე თჳსსა:

• რომელსა არა სძაგდეს ცოდვაჲ, დაღათუ არა იქმოდის ცოდვასა მას, ცოდვილთავე თანა დაისაჯების:

• სულთითქუჱნ მოყუასსა შენსა ზედა მცოდველსა, რაჲთა თავსაცა ზედა თჳსსა სულთითქუნე, რამეთუ ყოველნი თანამდებ ვართ ცოდვათა:

• მოაჴსენე მსაჯული მეგობარსა შენსა შეცთომილსა და შენიცა წყლულებაჲგანიკურნოსვე...

ხელნაწერზე იმუშავა
გიორგი მაჭარაშვილმა
ფილოლოგიის დოქტორი

13. ხელნაწერშია „სხ ̄რი“

14. ეს სიტყვა მგონი სწორად ვერ ამოვიკითხე.

წმიდა ეფრემ ასური

სიტყვა
უფლის მოსვლისათვის, სოფლის აღსასრულისა
და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის

ვითარ შევიძლო თქმა უთქმელისა მე უმდაბლესმან და ცოდვით აღვსილმან ეფრემ, რაიც ძალს ჩემსას აღემატების! გარნა, მადლითა და კეთილშობითა თვისითა, მაცხოვარმა უწიგნურნიცა განაბრძნო, ხოლო მეოხებითა მათითა, ყოველნი მართალნი განანათლნა. და აწ იგივ განაბრძნობს პირსა ჩემსა და ნათელჰყოფს სიტყვასა ჩემსა, სამოძღვროდა და სარგებლად ჩემდა და სხვათა, ყოველთა მსმენელთაცა.

ხოლო სულთქმითა და ტკივილით ვიტყვი სოფლის აღსასრულსა და ურცხვსა მას და უსაძაგლესსა ვეშაპზე, რომელ ზარგანხდის ყოველს ცისქვეშეთს და ძრწოლას, სულმოკლებას და ურწმუნოებას შთაუთხრობს გულთა კაცთასა და ჰყოფს სასწაულებსა და ნიშებს, „ვიდრე ცდუნებადმდე, უკეთუმცა, ვითარ შეუძლეს, რჩეულთა – მათცა“ (მათე 24, 24). და აცდუნებს ყოველთა ცრუ სასწაულებითა და ნიშნებითა; გარნა, ღმრთისა მიშვებით მიიღებს იგი ხელმწიფებას ქვეყნის ცდუნებისასა, რამეთუ აღივსო ქვეყანა უწმიდურებითა და ყოვლითა საშინელებითა. ხოლო ესოდენის უწმიდურებისათვის კაცთასა, დაუშვა ყოვლადწმიდა მეუფემ, რათა განსცადოს სოფელი სულმა მაცდურმა; რამეთუ ნებსით განუდგნენ კაცნი ღმერთსა და შეიყვარეს ბოროტი.

დიდ არს ღვაწლი მათ დღეთა შინა, ძმანო, უფროს კი მართალთათვის! ოდეს თვით გველი იგი დიდითა ხელმწიფებითა ჰყოფს სასწაულებსა და ნიშნებს, და საზარელითა ჩვენებებითა, ღმერთად გამოაჩინებს თავსა თვისსა, და იფრენს ჰაერში; ხოლო ეშმაკნი ყოველნი ანგელოზთაებრ ამაღლდებიან წინაშე მაჭირვებელისა. და ძალუმად შეჰყივლებს მაშინ მტარვალი, იცვალებს იერსა და შეაძრწუნებს კაცთა ყოველთა. გარნა ვინა იყოს მაშინ, ძმანო, გარემოზღუდვილ და ვინ სდგეს ურყევად? ანუ ვის აქვნდეს სულში ნიშანი წრფელი, დიდებით მოსვლისა მხოლოდშობილისა ძისა და ღმრთისა ჩვენისა, ოდეს იხილავს ყოველთა სულთა ზედა მოწევნილს წუხილს გარდუვალს. და რამეთუ არცაღა ხმელით, არცაღა წყლით და არც არსაით არ აქვნდეთ მათ ნუგეშინი და მშვიდობა; და ვინ სდგეს ჟამსა მას, ოდეს ყოველი ქვეყანა ძრწოდეს და თვითეული ივლტოდეს მთებში; და ერთნი მოსრნეს სიყმილმან, სხვათა – განლევდეს წყურვილი. და ვინა უძლოს ხილვად ცრემლდათხეულთა ყოველთა ღაწვთა და წადილითა დიდითა მღაღადებელთა: „არსდა სადამე ქვეყნად ღვთის სიტყვა?!“. და ვინ უძლებს მათ ჟამთა და ვინ დაითმენს წუხილს უთმენელს, ოდეს ხილვად მაჭირვებლისა ერნი აღიძვრიან და მრავალნი თაყვანისცემდნენ მას და ძრწოლითა უხმობდენ მტარვალსა: –შენ ხარა მხსნელი ჩვენი?!“

მიწა გადახმება, მაშინ; ცით არ გაწვიმდება და მცენარე დაჭკნება, და შიშითა დიდითა აღმოსავლეთის ქვეყანის მკვიდრნი დასავლით მიდრკებიან, ხოლო დასავლეთისანი – აღმოსავლეთით ივლტიან. მაშინ მიიღებს ურცხვი იგი ხელმ-

წიფებას და წარმოგზავნის მოამბეებად დემონებს: „მეუფე დიდი მოვიდა დიდებითა და მოვედით ხილვად მისაო.“ და ვის აქვნდეს მაშინ სული მტკიცე, რომლითა უძლებს ყოველ მის საცდურს?! და ვინ იქნება ის, ვისაც ნეტარჰყოფენ ანელოზნი?!

მე კი ძმანო, ჩემნო, ქრისტესმოყვარენო და ჩინებულნო! ზარი მიპყრობს მის ვეშაპისა ერთი ოდენ ხსენებითაც, ოდეს მოწევნილს მწუხარებაზედ ვზრახავ და წარმოვიდგენ იმ სისასტიკეს, რომელს დაატეხს გველი იგი კაცთა მოდგმასა; ხოლო უმეტეს ბოროტს მოაწევს წმიდათა ზედა, რომელნი ძლევენ მოჩვენებითთა სასწაულთა მისსა. და მრავალნი ღვთივსათნონი იპოვნებიან მაშინ, ვინაცა მთათა და უდაბნოთა შეეფარვიან; და ლოცვითა და ცრემლითა დიდითა დაიხსნებიან, რამეთუ წმიდა არს ღმერთი და მოჰხედავს მრავალთა ცრემლთა და რწმენას მათსა; და შეიწყნარებს მათ, ვითარცა მამა მოყვარული. და დაჰფარავს მათ. გარნაღა ვეშაპი იგი საძაგელი, არა დასცხრების ძებნად მათდა. და მოიძიებს წმიდათა, ხმელთა შინა და ზღვათა შინა, რამეთუ ქუეყნის მეუფედ იგულვებს თავსა თვისსა, ხოლო მსახურად – ყოველთა კაცთა. გარნა ვერ აგრძნებს იგი უძლურებასა და ამპარტავნებასა თვისსა, რომლითაცა დაეცა, არამედ წინააღდგომას იზრახებს საშინელსა მას ჟამსა, და ზარგანხდის ქუეყანასა და შეაძრწუნებს ყოველს, ცრუ ნიშებითა და ხიბლებით. მაშინ გამოჩნდება ვეშაპი იგი და მშვიდობას წარსტაცებს ქვეყანას და ჩამოდგება გოდება დიდი, ზარი, ტყება და სიკვდილი; რამეთუ თვით უფალმან ჩვენმან გვაუწყა: „იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელი არასადა იქმნა ესევითარი დასაბამითგან“ (მარკ. 13, 19). დაღათუ ესრეთ იტყვის უფალი მას ჟამზე, გარნა ჩვენ, ცოდვილთა, ვითა ვსთქვათ უსაზღვრო და აუწერელი მწუხარება მათ დღეთა?! დაე, ყოველმან გულისხმაყოს წმიდა სიტყვები უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა, რამეთუ ნებავს, კეთილუწყებითა თვისითა, დღემოკლეჰყოს ჟამი, რაითა გვიხსნას სოფლად მოწევნილს მწუხარებისაგან, რაითა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა, გინა შაბათსა“ (მათე 24,20); და კუალად გვეტყვის: „იღვიძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა (ლუკა 21, 36)“; დაღათუ ჟამი ახლოსვე არს და ჩვენ ყოველნი მივეცემით ჭირთა მათ, გარნაღა არ გვრწამს. არამედ, დღითა და ღამით, ცრემლთაგან ლოცვით, დაუცადებელად უნდა ვევედრნეთ და შეუვრდეთ ღმერთსა, რათა ვიხსნნეთ ჩვენ ცოდვილნი; ხოლო რომელსა აქვნდეს ცრემლი და სინანული, ევედრენით ღმერთსა, რაითა გვიხსნეს სოფლად მოწევნილის მწუხარებისაგან; რაითა არცა ვიხილოთ და არცა ვისმინოთ ხმა მის მხეცისა; რამეთუ იქნებიან ქვეყნად სიკვდილნი, „სრვანი და ძრვანი ადგილად – ადგილად“ (მათე 24, 7). მხნე უნდა იქნმეს სული იგი, რომელი უძლებს საცდურთ გარემოს; გარნა თუ კაცი მცირედაც უზრუნველია, იოლად დამარცხდება და წარიტაცება მტერისა ნიშთაგან. და არ ექნებათ მათ შენდობა სამსჯავროზედ.

მრავალი ცრემლი და ლოცვა გვჭირდება, საყვარელნო, რათა ყოველმა ჩვენგანმა უძლოს განსაცდელს; და რამეთუ მრავალ ჩვენებას აღძრავს მტარვალი; ღმრთისამბრძოლია იგი თავად და სწადია სიკვდილი ყოველთა; ამისთვის, ღონესა რასმე მოიღებს მტარვალი, რომე ყოველი ბეჭედს მხეცისას ატარებს. და ჟამსა თვისას გამოჩნდება იგი ნიშებითა, საცდუნებელად ყოველთა. მაშინ ხოლო შეიძლებენ კაცნი სყიდვად საზრდელთა და სახმართა; და დაადგინებს მეთვალყურეთა, ნებათა თვისთა აღმასრულებლად.

მოხედეთ ძმანო, უსაზღვრო მზაკვრობას

უფლის მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავრო

მხეცისას და ცბიერებას მისას, თუ ვით იწყებს იგი ადამიანთა პყრობას მუცლით, რათა შიმშილით იძულებელჰყოს კაცნი, რომ მარჯვენა ხელსა და შუბლსა ზედა მიიღონ უღირსისა მის მხეცისა გამოსახულება; რათა მარჯვენითა თვისითა პირჯვრისწერა ვერ შეძლოს კაცად-კაცადმა. და რამეთუ უწყის უბადრუკმან, ვითარმედ საუფლო ჯვარის გამოსახვა, განაქარვებს ყოველს ძალს მისას; ხოლო მსგავსადვე, შუბლიცა კაცისა ლამპარივით ზე აღმართავს ნათელს-ნათლისას – ნიშანს მაცხოვრისას ჩვენისას.

ამისთვის, ძმანო ჩემნო, მძიმე ღვაწლი გვმართებს ყოველთა ქრისტიანეთა, რათა სიკვდილის უამამდე შიშმა არ შეგვიპყრას და უქმად არ ვეგოთ, ოდეს ვეშაპი ბეჭედს თვისას გამოსახავს, ნაცვლად ცხოველმყოფელისა ჯვარისა. და ესევითარსა ხერხს იხმარს, რომე სახელი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა არასადა იხსენიებოდეს მას უამსა; ხოლო ამათ ყოველთა იქმს, უფლის წმიდა ძალის შიშითა და ძრწოლითა, რამეთუ, რომელნი მხეცის ბეჭედით არ აღიბეჭდებიან, ცრუ სასწაულნი მხეცისა მათ ვერ აცდუნებენ.

ყოვლითურთ გულისხმავყოთ, ძმანო, მოჩვენებითი ნიშები მტერისა. უფალი ჩვენი მყუდროდ მოვა, ჩვენ ყოველთა თანა, რათა განგვაშოროს მზაკვრობისაგან. უკეთუ ქრისტეს რწმენას წმიდად დავიცავთ, ძალას მტარვალისას შევარყევთ; მოვი-

ღებთ უცდომელსა და მყარსა გონებას, და განგვეშორება ჩვენგან უძლური და ვერას იღონებს ჩვენდა სავნებელად.

გვედრით, ძმანო, ქრისტესმოყვარენო, მე უღირსი, ნუ ვიქნებით უდებნი; არამედ უმეტეს განვძლიერდეთ ძალითა ჯვარისათა. გარნა უცილობელია ღვაწლი კართა ზედა ბჭისათა, და აღვიჭურვნეთ ყოვლითა საჭურველითა სარწმუნოებისათა. და მზა ვიყვნეთ მსგავსად ერთგულთა მონათა, რაითა მტერი არ შევიწყნაროთ; რამეთუ უღირსია და სასტიკი იგი. და მპარავი მოვა უწინარეს ჟამისა; და იგულვებს ჭეშმარიტისა მწყემსისა რჩეულ ცხოვართა წარტაცებას და წარწყმედას. განვიცადოთ, ძმანო, თუ რაგვარის სახით მოვა ურცხვი იგი ურჩხული სოფლად.

მაცხოვარმა მადლითა თვისითა ინება კაცთა ნათესავთა ხსნა. და იშვა ქალწულისაგან ხატითა კაცისაჲთა და დათრგუნა მტერი ღვთაებრივითა ძალითა თვისითა. ხოლო მტერმაცა იზრახა ღმრთისა მიმსგავსებულად გამოჩინება და ცდუნება ჩვენი. გარნა უფალი მოვალს ქვეყნად ღრუბელთა ზედა სპეტაკთა, მსგავსად საშინელისა ელვისა; ხოლო სხვაგვარია მოსვლა მტერისა, რამეთუ განდგომილია იგი. ჭეშმარიტად შეგინებულის დედაკაცისაგან იშვება, გარნა არ ნიშნავს ეს განხორციელებას მისას.

მოვა იგი ყოვლადსაძაგელი, ვითარცა მპარავი, საცდუნებელად ყოველთა; მოვა მორჩილად და მშვიდად და იტყვის სიცრუვით: ვითარმედ სძაგს კერპები და უმჯობესად მიიჩნევს ღვთისმოშიშებას; გამოჩნდება მტერი იგი კეთილად, გლახაკთმოწყალედ, უაღრესად სათნო ხილვითა, მტკიცე და ყოველთა მიმართ გულთბილი; ხოლო უმეტეს პატივს უყოფს იუდეველთა ტომსა, რამეთუ იუდეველნი მოელოდებიან მოსვლასა მისას. და დიდის ხელმწიფებითა ჰყოფს მტერი იგი ნიშებსა, სასწაულებსა და საშინელებათა, და ცბიერებით აამებს ყოველთა, რათა უმალ შეიყვარონ ერთა.

ძღვენს არ მოიღებს მტერი იგი, მრისხანედ არ იმეტყველებს და არც პირქუშად იხილვება; არამედ, მამათმთავრულის გარეგნობით იწყებს ცდუნებას სოფლისას, ვინემ სრულად მპყრობელობამდე. ხოლო ტომნი და ნათესავნი მრავალნი ოდეს იხილავენ ყოველთა ძალთა და სათნოებათა მისთა, უმალ დიდითა სიხარულითა განიმსჭვალვიან და იტყვიან ურთიერთას და აღიარებენ ერთბამად: „იპოებაა სადამე კაცი ესოდენ მართალი და სახიერიო?!“ – და განმტკიცდება მეუფება მის მაცდურისა და რისხვით ზარგანხდის იგი სამთა დიდთა ხელმწიფეთა; და აღზავდება გულითა და აღმოანთხევს ნაღველს ურჩხული იგი; შეაძრწუნებს ქვეყანას და შესძრავს კიდით-კიდემდის; აჭირვებს ყოველთა და წაბილწავს სულთა. ხოლო ამიერ არდა სათნოდ წარმოჩნდების იგი, არამედ დღეყოველ იქცევა, ვითარცა კაცი გულფიცხი, პირქუში, მრისხანე და მოსწრაფე, უწესო, მოძულე და საზარელ; წარმოჩნდება მტერი იგი საძაგლად, ცბიერად და ურცხვად და ეცდება უწმინდურების მორევში კაცთა მოდგმის შთაგდებას. კუალად მრავალთა ცრუსასწაულთა ჰყოფს იგი და წინაშე თაყვანისმცემელთა თვისთა გამოსცემს ხმას ძლიერს, რომლისაგან ირყევა ადგილი იგი, მის კრებულისა და იტყვის მტარვალი: „ყოველმან ნათესავმან სცანით ხელმწიფება და ძალი ჩემი!“; მერმეცა, წინაშე კრებულისა, მთათა უცვალებს ადგილთა და ზღვით გამოიხმობს კუნძულთა; ხოლო ამათ ყოველთა თვალთმაქცობითა იქმს და ჩვენებითა, გარნაღა მოხიბლავს სოფელსა, აცდუნებს გულთა ყოველთასა და ერწმუნებიან მრავალნი და ადიდებენ მას, ვითარცა ღმერთსა ძლიერსა.

მწარედ ატირდება და იგოდებს მაშინ ყოველი სული, და მიეცემა მწუხარებას აღუწერელსა, დღითა და ღამით; და ვერა სადა ჰპოვებს კაცი საზრდელსა, რამეთუ სასტიკნი განწესდებიან მეთვალყურენი და რომელთ ხოლო ექნებათ ბეჭედი უწმი-

დურისა, შუბლსა და მარჯვენასა მკლავსა ზედა, მათ ხოლო მიეცემათ მცირედ საზრდელი. და მას ჟამსა ჩვილნი დედათა უბეში აღესრულებიან და დედანი შვილთა თვისთა ზედა მიიცვალებიან და მამანიცა – მათვე თანავე; გარნა არავინ იქნება დამფვლელი მათი. უბანთა ზედა დაიყრებიან, მძორთაგან შეიბილწება ჰაერი და შეძრწუნდებიან ცოცხალნი.

ცისკრად ვაებითა და ვიშით ღაღადჰყოფენ: „როსდა დაღამდეს და განვისვენოთ?!“ მწუხრსა კი მწარედ ჰგოდებდენ: – „გათენდებოდეს მალევე, რათა დავიხსნათ მწუხარებათაგან!“. – გარნა არსით იქნება, არცა გზა, არცა საფარი, რამეთუ ზღვა და ხმელიცა აღშფოთდეს. ხოლო ამისთვის გვეტყვის უფალი: „მხნე იყვენით და ილოცევდით დაუცადებლად, რათა განერეთ მწუხარებასა“. მაშინ შეიძრვება და ამყრალდება ზღვაცა და მიწაც, და ჩამოდგება შიში ყოველგან; არღა ვის არგებს მაშინ არც ოქრო-ვერცხლი, და არცა სამოსთა უხვება; არამედ ერნი ყოველნი ჰნატრობდნენ ჟამისა მის უწინარეს მიცვალებულთასა. გზა-შარას დაიყრება ოქრო და ვერცხლი და პირს არვინ იქცევს მათდა, არამედ საძაგელ იქმნება ყოველი; და ივლტოდეს ყოველი და ვერსადა განერეს; და იყოს შიში, შიმშილი და მწუხარება ჟამსა ყოველსა; ხორციჭამია ღრიანკალთა, ქვეწარმავალთა და მხეცთა დევნა უყონ კაცთა. შინაგან შიში შეუდგება ყოველთა და გარეგან – ძრწოლა; გვამები დაიყრება გზა-შარას და ყროლით გაუსაძლისდება. შიში, გმინვა და გოდება ჩამოდგება შინა თუ გარეთ; და მოთქმით შეეყრებიან ერთურთს კაცნი: შვილნი – მშობელთა, თვისტომნი — თვისტომთ და ერთურთს გადაჭდომილნი აღესრულვიან; დაჭკნება შუენიერება ყოველი პირისა და მოიღებენ სახეს მკვდართასა; ბილწ იქნება და საძაგელ სიტურფე ქალისა; დაშრტება ყოველი სხეული და გულისთქმა კაცობრივი. ყოველი, რომელი ერწმუნება მზაკვარსა მხეცსა და მიიღებს ბილწს ბეჭედს მისას, მეყვსეულად შეუვრდება მტარვალსა მას და ეტყვის: „გვეც ჩვენ სასმელი და საზრდელი, რამეთუ მოვწყდებით შიმშილით და განაძე ჩვენგან მხეცნი გესლოვანნი“. – გარნა ვერას იღონებს უბადრუკი იგი; არამედ სასტიკებითა აღვსილი შერისხავს კაცთა: –„სადაით მოგცეთ საზრდელი?! ცამან არ მოსცის წვიმაჲ და მიწამ – ნაყოფიო!“ – და შერისხვითა მით ატირდებიან ერნი; ხოლო სასოწარკვეთილნი ნუგეშს ვერსით მოიღებენ; არამედ წუხილი სხვაცა დაერთვით, რომე მსწრაფლ ირწმუნეს მტარვალისა. და იზრახებენ: დაღათუ თავისა თვისისა შეწევნა არ ძალუძს მტარვალს, სხვანი მან გველმან ვით შეიწყალოს?

მათ დღეთა შინა მრავალსა ჭირსა და ვნებას მოაწევს ურჩხული იგი: განთესავს შიშსა და შესძრავს ქვეყანასა, აღტეხავს ზღვათა და დევნის კაცთა სიყმილითა, წყურვილითა და მხეცითა ნაირგვარითა. გარნა ანტიქრისტეს ბეჭდით დაბეჭდულთა და მხეცისა მწოდებელთა და თაყვანისმცემელთა მის მტარვალისა – ნაწილი არღა ექმნებათ ქრისტესთან სასუფეველში, არამედ მის ვეშაპისათანა მიეცემიან გეჰენიასა.

ნეტარ არს, რომელი მტკიცედ და წმიდად ეგოს ყოვლითურთ და გული მისი შეუორგულებლად ზრახვიდეს ღმრთისა თანა; რამეთუ მხნედ წინააღუდგეს იგი მტრის ყოველ ზაკვას და არად შერაცხოს ტანჯვა-წამება ყოველი და საცდურნი მისნი.

ხოლო მოწყალებითა თვისითა, უფალი უადრეს წარმოგზავნის ილია თეზბიტელსა და ენუქს, რათა ასწავლონ ერთა წინასწარმეტყველთა მათ ღმრთისმოშიშება და ღმრთისმეტყველება და განსწავლონ კაცნი; რამეთუ შიშითა არა შეუვრდენ მტერსა; არამედ – უწყოდიან ყოველთა, ვითარმედ: „ცბიერ არს იგი, ოი, კაცნო! და იოტისოდენსა ნუცა ვინ ირწმუნებს მისას

და ნუცა ვინ დამორჩილდეს მგმობარსა მას; და ნურც ვინ თქვენგანნი შეძრწუნდება, რამეთუ მსწრაფლ უქმ იქნება მგმობელი იგი ყოვლითურთ. რამეთუ მოვალს უფალი, განსაკითხველად მისა და მისთა მორწმუნეთა". გარნა მცირედი მოხედავს და ერწმუნება წინასწარმეტყველთა მოძღვრებას. არამედ მაცხოვარი განუზომელითა კაცთმოყვარებითა თვისითა ჰყოფს და მათ ჟამთა შინაცა არა დაუტევებს უფალი კაცთა დაუმოძღვრებლად; გარნა სამსჯავროს არღა ვის ეთქმის სიტყვად.

ხოლო მას ჟამსა, უწმიდურისა მოსვლისასა, წმიდანნი თუ სადამე იპოებოდიან, ნაკადულნი ცრემლთანი დიოდიან ყოვლადწმიდისა ღმრთისა მიმართ, რაითა იხსნას იგინი გველისაგან. და განივლტიან ქრისტეს მხედარნი მთად და უდაბნოდ; გარდიყრიან თავს მიწას და ნაცარს და მორჩილებითა დიდითა, დღითა და ღამით აღავლინებენ ლოცვებს, და ღმრთისაგან მოეცემათ მათ ესე ყოველი; და მადლი უფლისა განაშორებს მათ და განუჩინებს ადგილს, და ხევსა და ნაპრალსა და ქვაბურს შეფარულნი დაიხსნებიან და არცა ანტიქრისტეს ნიშთა განიცდიან და არცა სხვა საშინელებათა. ხოლო გულისხმისმყოფელი ამა სწავლისა, უცდომლად იცნობს ანტიქრისტეს მოსვლას; ხოლო ამქვეყნიური გონებისანი და მიწიერთა მოყვარულნი ვერ გულისხმაჰყოფენ, რამეთუ დღემუდამ მიჯაჭვულნი არიან მსოფლიო ზრუნვას. დაღათუ ეუწყათ მათ ყოველი, გარნა არა ირწმუნებენ, არამედ მოიძაგებენ მოძღვარსა; ხოლო წმიდანი სწავლათაგან განმტკიცდებიან, რამეთუ – ყოველივე მსოფლიო დაუტევეს ზრუნვაი.

ჟამსა მას ატირდება ყოველი ზღვა და ხმელეთი; ატირდება ჰაერი და მისთანა ატირდებიან ნადირნი ტყისანი და მფრინველნი ცისანი; ატირდებიან მთანი, ბორცვნი და ბარად – ველნი, და – მნათობნიცა ციურნი, ხოლო ატირდებიან კაცთა მოდგმისათვის; რამეთუ მრავალნი განუდგებიან ყოვლადწმიდასა ღმერთსა და ირწმუნებენ მაცდურს; და ნაცვლად მაცხოვრის ცხოველსმყოფელისა ჯვარისა, მოიღებენ ნიშანს ბილწისას და განდგომილისას. და ატირდება ცა და ქვეყანა, რამეთუ კაცთა ბაგეთაგან არღა აღევლინება ლოცვა და ფსალმუნება; და გლოვა დიდი ექნება ქრისტეს ეკლესიას, რამეთუ არცა სადა ღვთისმსახურება აღესრულება და არცაღა მსხვერპლი შეიწირვის.

შემდგომად სამწელიწადნახევრისა დასრულდება ყოველი ხელმწიფება და ქმედება უწმიდურისა და განსრულდება ცდუნება ყოველი სოფლისა.

და შემდგომ ვითარცა წერილ არს, მოვალს უკუე უფალი, მსგავსად ელვისა, ზეციოთგან; ნათელი, ყოვლადწმიდა, შესაძრწუნებელი და დიდებული ღმერთი ჩვენი, დიდითა დიდებითა თვისითა და მოვალს ღმრთისა დიდებისა თანა დასნი ანგელოსთანი და მთავარანგელოსთანი და ყოველნი, ვითარცა ალი ცეცხლისა. და აღივსება მდინარე ცეცხლითა. და ქერუბიმნი თავს დაიდრეკენ და მფრინავი სერაფიმნი ცეცხლისა ფრთითა დაიფარვიან პირთა და ფერხთა და ძრწოლით იღაღადებენ: – „აღსდექით მკვდარნი! აჰა, ესერა სიძე მოვალს!". მაშინ საფლავნი განირღვევიან და აღსდგებიან წინაპარნი ყოველნი წამისყოფითა. და წარსდგებიან წინაშე სიძისა. ხოლო უთვალავნი აღდგომილნი და ათასეულნი და ბევრეულნი ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, და ურიცხვნი მხედრობანი იხარებენ დიდითა სიხარულითა; და იხარებენ წმიდანი და მართალნი, და ყოველნი, რომელთა არა მოიღეს ბეჭედი ურჩხულისა და უწმინდურისა. ანგელოზნი შეკრავენ მტარვალს ბოროტსულებითურთ და მათ ყოველთა, რომელთა შეიწყნარეს ბეჭედი ანტიქრისტესი; გარნა რომელნი შეეფარვოდიან ქვაბთა, ნაპრალთა და ხევთა – სამარადისოდ იხარებენ ესენი, წმიდათა თანა ზეციურსა საყდარსა, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

რუსულიდან თარგმნა
მონოზონმა ანამ (ნიაური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურუიზმი

2012 წელს სერბეთში გამართული კონფერენციის მონაწილეები

2012 წელს, 24-27 სექტემბერს, სერბეთში მიმდინარეობდა კონფერენცია, სახელწოდებით: „გურუიზმი, დესტრუქციული კულტები, პიროვნულ–სულიერი, სოციალური პრობლემები და მათი კურნება". კონფერენციას თითქმის ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის 127 წარმომადგენელი ესწრებოდა. თავჯდომარე იყო კვიპროსის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, ხოლო გურუიზმი და ფსევდოხუცესობის („Псевдостарцы") საკითხებზე მომუშავე კომისიას ხელმძღვანელობდა პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ნოვოპაშინი. საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდა წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბიძინა (გუნია). კონფერენციამ შეიმუშავა 16 პუნქტიანი დოკუმენტი, რომელსაც ყველა მონაწილე აწერს ხელს. დოკუმენტში დასკვნის სახით, აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში, მართლმადიდებელი ქვეყნების სულიერ-ფიზიკური დევნილების გაძლიერებასთან ერთად, მართლმადიდებელ ეკლესიაში თავი იჩინა ცალკეულმა სექტანტურმა ნიშანთვისებამ. ეკლესიის მამებმა და ღვთისმეტყველებმა მათგან წამოწიეს საეკლესიო ცხოვრებაში შემოჭრილი მოვლენა, რომელსაც „მართლმადიდებელი გურუიზმი" ეწოდა და აღინიშნა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში განსაკუთრებით საშიშია გურუიზმის და ფსევდოუხუცესობის („Псевдостарчество") გამოვლინებები, აგრეთვე – განხეთქილებები, დაჯგუფებები და სექტანტობა.

კონფერენციის ცალკეულ გამოსვლებსა და სტატიებში საუბარია იმ სულიერ მანკიერებებზე, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში სექტანტური აზროვნების და ცხოვრების წესის დანერგვის საფრთხეს ქმნის. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ გურუიზმი წინამძღვრის ან მოძღვრის „განღმრთობას" გულისხმობს, რაც ტოტალიტარული სექტებისათვის არის დამახასიათებელი. კონფერენციამ დაგმო მართლმადიდებელ ეკლესიაში „გურუიზმად" სახელდებული სექტანტური მოვლენა და დაადგინა, რომ „გურუიზმი" – ეს არის ქრისტიანული ცხოვრებისაგან განდგომა და მოციქულთა აშკარა დაუმორჩილებლობა, რომელნიც გვმოძღვრავენ: **„იღუწიდით ნუ იძულებით, არამედ ნებსით,ნუცა საძაგელისა შეძინებით, არამედ – გულსმოდგინედ. ნუცა, ვითარცა ეუფლებოდეთ მათ, არამედ სახე ექმნენით სამწყსოსა მას"** (I პეტრ. თ.5. 2-3).

Мы, нижеподписавшиеся представители Православных Церквей, собравшиеся в городе Нови-Сад, Сербия, вместе со специалистами по исследованию новоявленных сект и деструктивных культов, после тщательного изучения вышеупомянутой темы с помощью докладов, дискуссии и в рабочих группах, мы единогласно пришли к нижеследующим выводам и предложениям, которые мы должным образом передадим Поместным Православным Церквям, государственным властям и общественным организациям наших стран, для того, чтобы они стали духовным и общественным орудием разрешения различного рода проблем, возникающих в результате необузданной деятельности гуруистических организаций.

Председательствующий,

Архиепископ Критской Церкви Иринней
Вселенский Патриархат

Епископ бачский Иринней
Сербская Православная Церковь

Архимандрит Серафим Крикорян
Антиохийский Патриархат

Профессор Александр Леонидович Дворкин
Московский Патриархат

Епископ Епрский, Порфирий
Сербский Патриархат

Профессор Киприан Стрезас
Румынский Патриархат

Епископ Браничский, Григорий
Болгарский Патриархат

Протоиерей Бидзина Гупия
Грузинский Патриархат

Епископ Карпасийский, Христофор
Кипрская Церковь

Священник Андрей Левчак
Польская Церковь

Архиепископ Пражский
Митрополит Чешских и Словацких земель,
Христофор

კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტი

* * *

სიტყვა „გურუ“ (მასწავლებელი, ხელმძღვანელი), როგორც ცნობილია, აღმოსავლურ რელიგიებში წარმოიშვა, კერძოდ, ინდუიზმში. ამ რელიგიების სწავლებით, თუ ადეპტს გურუ არ ჰყავს, მაშინ იგი არარაობად და დაკარგულ არსებად ითვლება; მისთვის სულიერი ცხოვრება მიუღწეველია. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე (ნოვოპაშინი) აღნიშნავს, რომ კრიშნაიდული სწავლებით, მასწავლებლის ანუ გურუს ფერხთით დამხობილი მოწაფე მას ასე უნდა მიმართავდეს: „შენ ხარ ჩემი სულიერი მზე, ხოლო მე შენი ბრწყინვალების უბადრუკი ნაპერწკალი; შენ ჩემი ღმერთი ხარ,მე კი შენი სამარადისო მსახური და შენი ფერხთა მტვერი“... ეს და ამგვარი შესხმა-დიდება მოწაფისა გურუს მიმართ სავალდებულოა.

რელიგია ღმერთთან კავშირს გულისხმობს, ხოლო სექტაში კი ყველაფერი ლიდერით იწყება და მისით მთავრდება. სექტაში გურუსთან კავშირი, ღმერთთან კავშირს გულისხმობს.

კონფერენციაზე ვრცლად განიხილეს მართლმადიდებელ ეკლესიაში სექტანტური ნიშან-თვისებების აღმოცენება; კერძოდ, ცალკეულ სამრევლოებსა და მონასტრებში გურუისტულად მოაზროვნე ტიპის მოძღვრისა და წინამძღვრის არსებობის საკითხი, როდესაც მათზე დაქვემდებარებული კრებული (მრევლი თუ საძმო) გურუს ადეპტი ხდება. ზოგადად, მათი ეს ურთიერთმიმართება „გურუიზმად“ იწოდება. კონფერენციაზე შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, „გურუიზმი“ არის სექტანტური ურთიერთმიმართების ისეთი გამოვლენა, როდესაც ადამიანი საკუთარ თავისუფალ ნებას ღმერთს კი არ უთმობს, არამედ ადამიანს – გურუს; ხოლო გურუს ნება კი უმართავია და მას ვერასოდეს ვერავინ ვერ აკმაყოფილებს, რადგან მისი ნება-სურვილი დაუცხრომელია და დაუდგრომელი.

გურუს ტიპის წინამძღვრები, ძირითადად, ადამიანებზე მბრძანებლობით, მათი მართვის სენით არიან შეპყრობილნი. ისინი საერო ცხოვრებაში ხელმოცარულნი არიან, ხოლო სულიერი ცხოვრების უმეცარნი და ბრმანი – ბრმათა წინამძღვარნი არიან და „ორნივ ორმოში დაინთქმებიან“. ამგვარი ტიპის წინამძღვარი, რომელიც თავს უხუცესად (старец) წარმოაჩენს, სულიერ დესპოტად იქცევა და სულიერ შვილთან მისი ურთიერთობა ბატონისა და ყმის მდგომარეობას ემსგავსება. „გურუიზმი“ მართლმადიდებლური თვალსაზრისის დამახინჯებაა.

მრევლში და ცალკეულ საძმოში ხშირად თავს იჩენს მოძღვრის ან წინამძღვრის კულტი და ასეთ ვითარებაში,მრევლისა თუ მონასტრის კრებულის ცხოვრება ეკლესიის სწავლებაზე კი არ ეწყობა,არამედ – ამ პიროვნების ნებაზე. ამგვარ კრებულში, წინამძღვრის ყოველი სიტყვა-სურვილი, ღვთის ნებად აღიქმება; ხშირად თავად თემი ჰქმნის ამგვარ პიროვნულ კულტს

და ბრმა მიჯაჭვულობის ვნებით ექვემდებარებიან მას; ხშირად კი ღვთის ადგილს გურუები თავის პიროვნებით ანაცვლებენ. ხოლო ასეთ შემთხვევაში არა თუ ერის-

სამუშაო ჯგუფის პრეზიდიუმი – მარცხნიდან: პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ნოვოპაშინი, პროფ. ალექსანდრე დვორკინი, ნეტარი ქრისტეფორე, ჩეხეთის ეპისკოპოსი, ბრანიცკის (ბულგარეთი) ეპისკოპოსი გრიგორი.

კაცი, არამედ მონასტრის წევრიც ვალდებულია, რომ განეშოროს ისეთ წინამძღვარს, რომელსაც ქრისტესთან კი არ მიჰყავს სულიერი შვილი, არამედ – თავისთან; მაგრამ, გურუისტული ტიპის ხელმძღვანელის კრებულიდან წასვლაზე ფიქრიც კი საშიშია, რადგან „ურჩის“ მიმართ აღიძვრება სიძულვილი, ცილისწამება, ინტრიგა – რაც არა მარტო მის დევნა-შევიწროებას ემსახურება, არამედ კრებულის სხვა წევრების დაშინება–„განსწავლასაც“.

ამდენად, კრებულში გურუს ურყევი ავტორიტეტი ბატონობს; იგი შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე უცდომელი პაპის და ბელადის როლშია და კრებულის წევრებისაგან ითხოვს ადამიანის სინდისის და ზნეობრივი გრძნობების მართვას, რაც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. გურუს ნებისმიერი კრიტიკა და მისადმი უნდობლობა, კრებულში აღიქმება, როგორც უდიდესი ცოდვა. გურუ თემის ცალკეული წევრის ხასიათს და ბუნებას სწავლობს. იგი იმდენად დიდი წარმოდგენის არის საკუთარ თავზე, რომ ვინც მის გარშემო პატივცემულია, მტრად ცხადდება და მასზე, თანამედროვე ტერმინით, „ბულინგი“ (ძალადობა) ანუ „მობინგი“ (თავდასხმა, შევიწროება) ცხადდება, დაშინება, ფიზიკურ-ფსიქიკური დევნა ხორციელდება და ამით – სხვათა დამორჩილება, რათა გურუმ სიმშვიდე არ დაკარგოს. კრებულში გურუს ავტორიტეტის ასამაღლებლად და დიქტატურის გასამტკიცებლად, ორი ჯგუფი ეხმარება: „დონორები“ და „აგიტატორები“. დონორები გურუს ფინანსურად ამარაგებენ და ისინი კრებულში დიდ პატივში არიან; ხოლო ფული თუ შემოაკლდათ, ვეღარც მათ ამჩნევენ. აგიტატორებად კი თემის ის წევრები მოიაზრებიან, რომლებიც გურუს ნასუფრალით იკვებებიან. მათ ევალებათ, რომ გურუს შეუქმნან წმიდანის, ასკეტის, ნიჭიერის და ხელოვანის ავტორიტეტი.

გურუს ადამიანებთან ურთიერთობის რთული ტაქტიკა აქვს შემუშავებული: იგი ზოგს ეფერება, ზოგს ემუქრება, ზოგს მოისყიდის და ყველა ამ შემთხვევაში მსახიობივით თამაშობს. გურუ ობობასავით გამუდმებით ქსოვს აბლაბუდას ქსელს. მის კრებულში ავიწყდებათ, რომ არსებობს მღვდელმთავარი, როგორც ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალი და ყველაფერს, რაც კი კარგი ხდება მას მიაწერენ, მის სიბრძნესა და ყოვლისშემძლეობას; გურუ ყველასგან მორჩილებას ითხოვს, მაგრამ თავად არავის ემორჩილება: იგი არ ცნობს და არ ემორჩილება სულიერ მოძღვარს და ხშირად – არც ეპისკოპოსს. მისი იარაღი ცილისწამება და ინტრიგებია. გურუს თემში თუ კრებულში ერთმანეთის თვალთვალი და დაბეზღება არის გავრცელებული, რასაც „სტარეცი“ ხელს უწყობს.

ოკულტურ გაერთიანებებში, კაბალისტურ სკოლებში, ორდენებში, იეზუიტებისა და სხვათა მიერ, ოდითგან გამოიყენება ცნობიერებით მანიპულირება და მენტალიტეტის შეცვლის ხელოვნება. ამგვარად, გურუისტული თვისებების მქონე მართლმადიდებელი მოძღვარი ან წინამძღვარი გარშემომყოფებისგან ანტონი დიდის პატივს მოითხოვს და ე.წ. „სტარიკების“ (უხ-

უცესების, ბერების) საქციელი ძირითადად ანგარებით, ხელისუფლების მოყვარეობით, საქმოსნობით არის განპირობებული; ისინი ადამიანისათვის ღვთივმინიჭებულ თავისუფალი ნების და სინდისის დათრგუნვას ეწევიან და სულიერი წინამძღვრისადმი მართლმადიდებლური მოძღვრების ნებელობით, ნებსით მორჩილებას, გურუიზმის პროფანაციად გარდააქცევენ.

მღვდელმონოზონი ალექსანდრე ნოვოპაშინი (მედიცინის დოქტორი, ფსიქიატრი) იხსენებს, რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ის მიერ ამ საკითხზე გამონათქვამს: „ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი კლირიკოსი სიტყვით კი იცავს სასულიერო მაღალიერარქთა მიმართ ერთგულებას, მაგრამ საქმით – განხეთქილებაში მყოფებივით იქცევიან. ისინი სულიერი შვილებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვენ და ცხოვნების ერთ-ერთ პირობად, მათდამი პიროვნულ მორჩილებას უსახავენ. ამდენად, ხელქვეითებს რობოტებად გადააქცევენ და ღვთისგან მინიჭებულ თავისუფლების მადლს აკარგვინებენ. ხსენებული კლირიკოსები თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად, არასწორად იყენებენ წმიდა მამათა გამონათქვამებს და მათ დიდ საქმეთა პროფანაციას ეწევიან, რითაც „სტარეცის“ (უხუცესის, ბერის) რაობას აყალბებენ. წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ასეთ წინამძღვრებსა და მოძღვრებზე წერს: „ისინი ამახინჯებენ სამონასტრო ძველებურ პრაქტიკას, თვითნებურ სულიერ ხელმძღვანელობას ეწევიან და უსიტყვო, პირად მორჩილებას ითხოვენ... ასეთი სულიერი წინამძღვრობა მსახიობობა და სამწუხარო კომედიაა, რომლის არსიც თვითცდუნება და ეშმაკეული ხიბლიაო“.

სერბეთში გამართულ კონფერენციაზე გამომსვლელთა დასკვნით, გურუიზმი მართლმადიდებლური თვალსაზრისის დამახინჯებაა. მათი აზრით, შესაძლოა, რომ „მართლმადიდებელმა გურუმ“ შესანიშნავად იცოდეს მსახურების თანმიმდევრობა, უსასრულოდ ციტირებდეს სახარებიდან, წმიდა მამათა ნაშრომებიდან, მაგრამ ყოველივე ამას წმიდა ეკლესიის სადიდებლად კი არ ჰყოფს, არამედ – თავის სასარგებლოდ; ისინი ხშირად იმეორებენ „მორჩილება ლოცვასა და მარხვაზე მაღლაა“, მაგრამ ამ ნათქვამების უკან მათი მაღალი სულიერება კი არ დგას, არამედ მხოლოდ დემონური წყვდიადი მოჩანს. მორჩილებას ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი ნებაყოფლობითია და არა იძულებითი, პიროვნებისადმი შიშით ან შანტაჟით განპირობებული, რომლისთვისაც პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ თქვენ აზნაურებასა ჩინებულ ხართ, ძმანო; გარნა ხოლო აზნაურება იგი ნუ მიზეზად ხორცთა, არამედ სიყვარულისა მისთვის ჰმონებდით ურთიერთას, რამეთუ ყოველი სჯული ერთითა სიტყვითა აღესრულების: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (გალ. 5. 13-14).

> „სასყიდლით სყიდულ ხართ, ნუ იქნებით მონა კაცთა“
> (1 კორ. 7,23).

არქიმანდრიტი ანატოლი ბერესტოვი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფსიქიატრი) მიიჩნევს, რომ: „ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ეპისკოპოსს. მან უნდა განუმარტოს ცალკეულ სამრევლოებს და მონასტრებს, რომ მორჩილება – ეს არ არის მონობა, არამედ მორჩილება არის სულიერი გამოცდილების გადაცემის სახეობა, და რომ ადამიანთა ურთიერთობის, წიგნიერი ღვაწლის, ან სხვა სახის აკრძალვა, ადამიანური სინდისის წინააღმდეგ აგრესიას წარმოადგენს, ანუ ეს არის ის, რაც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის.“

კონფერენციის დადგენილებით, ეპისკოპოსებმა უნდა გააფრთხილონ ის მღვდლები, იღუმენები და წინამძღვრები, რომლებიც თავიანთ ხელისუფლებას ბოროტად იყენებენ ან მრევლს და კრებულს ისე ეპყრობიან, როგორც საკუთრებას. მღვდელმთავრებმა მათ უნდა განუმარტონ, რომ მსგავსი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია, ხოლო მსგავსი საქციელის გამეორებისათვის, საეკლესიო სასჯელით დაისჯებიან.

ცხადია,ეს არ ნიშნავს,რომ სხვა,არანაკლებ მომაკვდინებელ უკიდურესობაში ჩავვარდეთ, როგორიცაა: მორჩილების შეუსრულებლობა ან ურჩობა, თვითნებური წასვლა-მოსვლა და სხვადასხვა, შემთხვევით ადამიანებთან შეხვედრები, მონასტერში ტელევიზორის ყურება... ერის ადამიანებს კი მართებთ, ქრისტიანისათვის შეუფერებელი ლიტერატურისა და სანახაობებზე სიარულისაგან თავის შეკავება.

არქიმანდრიტი ანატოლი ბერესტოვი აღნიშნავს, რომ ცრუწინამძღვრის საკითხმა ეპისკოპოსთა ეპისტოლეებში კუთვნილი ადგილი უნდა დაიკაოს, რომლებსაც ტაძრებსა და მონასტრებში წაიკითხავენ და მორწმუნეთათვის ავტორიტეტული ხმა იქნებოდა; ხოლო ჭეშმარიტ მორწმუნეებს, რომლებსაც ზნეობრივი გრძნობა არ დაუკარგავთ, მათ ღმერთი აჩვენებთ, ამგვარი მორჩილების სიყალბეს და დამღუპველობას. ხოლო ვინც საკუთარ სინდისთან კომპრომისზე მიდის, მათ მწუხარება და იმედგაცრუება ელით თავიანთი კუმირის მიმართ.

დასასრულს, სერბეთში გამართული კონფერენციის დოკუმენტში ნათქვამია, რომ თანამედროვე საეკლესიო ცხოვრების ერთ-ერთ არსებით ამოცანას წარმოადგენს, სულიერ აგრესორებზე კონტროლის გაძლიერება – ცრუხუცობის და ცრუწინამძღოლობის საკითხმა თავისი ადგილი უნდა დაიკაოს.

ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ცნობს, აღიარებს და ლოცავს სულიერ წინამძღვარს და მოძღვარს, პირველყოვლისა,როგორც მამას ან დედას (წინამძღვარს), რომელსაც უყვარს, თანაუგრძნობს,თანაგვარსეცმის და თანააღდგება თავის მორჩილთან. მართლმადიდებელი მოძღვარი და წინამძღვარი ერთდროულად არის მამა და ძმა (დედა და და), იგი იმავ დროს მოწაფეც არის თავის მოწაფისა. წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი ბიოლოგიურ მამობას და დედობას სულიერ მამობას ადარებს და ხაზს უსვამს შემდეგს: ისევე, როგორც ყოველ ადამიანს ჰყავს ხორციელი დედ-მამა, რომლისგანაც იგი დავალებულია სიცოცხლის მინიჭებით – ყოველ ქრისტიანსაც ჰყავს თავისი სულიერი მოძღვარი, რომლისგანაც იგი ზეციური შობით არის დავალებული (იოანე 3:3), და რომლის წყალობითაც ადამიანი ღმერთკაცებრივი, ზეციურ-ქვეყნიური ეკლესიის ერთობის, ვითარცა ქრისტეს სხეულის ნაწილი ხდება; და იგი შემდეგ მიუძღვება მას სულიერი გზით, ქრისტეს ეკლესიის სავსებისაკენ.

ნამდვილი უხუცესი (ბერი, „სტარეცი“) საკუთარ ნებას არავის არ ახვევს თავს. იგი სიყვარულით სწავლის და ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას არ ართმევს (Александр Дворкин „Сектоведение“). ცრუხუცები კი მეტწილად, გურუს მსგავსად, მბრძანებლობენ, აიძულებენ და საკუთარი თავისადმი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვენ.

ნების ნამდვილი უარყოფა განსაკუთრებული მონასტრული პრაქტიკაა, რომელიც მხოლოდ მონოზვნისთვისაა განკუთვნილი. ახალდამწყებ მონოზონს ხელმძღვანელად მონასტრის გამოცდილ წევრს უდგენენ, რომელიც დამწყებს ასკეტური ცხოვრების გამოცდილებას, სიბრძნეს ასწავლის. მორჩილი კი ვალდებულია მისი სწავლება უსიტყვოდ აღასრულოს; მაგრამ აქ ერთი გამონაკლისია: თუკი ბერი ცოდვას, მწვალებლობას ანუ არაეკლესიურ სწავლებას უქადაგებს, თუ იგი ადამიანის სულის და სინდისის კონტროლს მოითხოვს, მაშინ მოწაფე ვალდებულია, ამხილოს ასეთი წინამძღოლი და განეშოროს მას. ანუ საკუთარი ნების უარყოფის შემთხვევაშიც კი ჩვენ შეგნებულ მორჩილებაზე ვსაუბრობთ და არა სექტანტურ, ბრმა მორჩილებაზე; თუკი „სტარეცი” ანუ წინამძღვარი ან მოძღვარი მბრძანებლობს, პიროვნებას შეურაცხყოფს, თავს ახვევს რაიმეს და დოგმატურ ცდომილებაშია, მაშინ ის ხიბლშია და სექტანტური სულისკვეთებისაა. რომლისთვისაც შეგვახსენებს წმიდა წერილი: „სასყიდლით სყიდულ ხართ, ნუ იქნებით მონა კაცთა“ (1 კორ. 7,23).

კონფერენციის ხსენებული საკითხები საინტერესოდ გააშუქეს ქართველმა მღვდელმსახურებმა: არქიმანდრიტმა რაფაელმა (კარელინი), დეკანოზმა ბიძინამ (გუნია), დეკანოზმა დავითმა (ჭიჭინაძე).

მოამზადა **მონოზონმა ანამ** (ნიაური)

სამთავროს ფერისცვალების ტაძრის საკურთხევლის მხატვრობა

(ზოგადი მიმოხილვა)

სამთავროს ფერისცვალების ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია. დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით, ჰარმონიული პროპორციებით, მაღალი ოსტატობით შესრულებული გარე ფასადების ჩუქურთმით, სამთავრო XI ს-ის ძეგლებს მიეკუთვნება. სპეციალისტების აზრით, ფერისცვალების ჯვარ-გუმბათიანი ტაძრის XI ს-ის I ნახ.-ით თარიღდება და აგებულია გიორგი I-ის მეფობისას, კათალიკოს მელქისედეკის კურთხევით.



სურ. 1

სამთავროს კომპლექსის არქიტექტურული, არქეოლოგიური, მხატვრულ-სტილისტური კვლევა არა ერთხელ მომხდარა. ხოლო სრული არქიტექტურული შესწავლისაგან განსხვავებით ტაძარის ფერწერის შესახებ ზოგად აღწერილობას ვხვდებით. სამთავროს ინტერიერის XI ს-ის იერსახე დღეისათვის დაზიანებულია და მხატვრობა სრულად დაკარგული; ფერწერის ფრაგმენტები, რაც საკურთხეველსა და გუმბათის ყელში შემორჩა, გვიანდელია და XVI–XVII სს-ით თარიღდება.

ფერისცვალების ტაძრის მხატვრობის რამდენადმე სრული აღწერილობა ეკუთვნის XIX ს-ში მოღვაწე არქიტექტორ რიპარდს, რომელიც 1940-იან წლებში დაწერილ თავის „პატაკში“ საკმაოდ ვრცლად წარმოადგენს ამ მხატვრობის აღწერას (გიორგი ჭანიშვილი „სამთავრო“). რიპარდი აღნიშნავს, რომ გუმბათის სარკმლების ქვემოთ 13 წელზედა ფიგურა ყოფილა გამოსახული, რომელიც მისი აზრით, წინასწარმეტყველები უნდა იყვნენ, გაშლილი პერგამენტებით ხელში. იგი შენიშნავს, რომ იქვეა ღვთისმშობლის ფიგურა ორანტას პოზაში. რიპარდის აღწერილობით, გუმბათის სარკმლებს შორის საკმაოდ კარგად შემორჩენილი 13 ფიგურული გამოსახულება ყოფილა, რომლებიც მისი აზრით, აგრეთვე წინასწარმეტყველები უნდა იყვნენ და იმდროისათვის ნახევრად წაშლილი ყოფილა. აღნიშნული აქვს აგრეთვე, იმ დროს უკვე სანახევროდ წაშლილი სხვა 13 ფიგურა და მათ ანგელოზთა კრებად მიიჩნევს.

საკურთხევლის აბსიდში, სარკმლის მარჯვნივ, 6 ფიგურული, კარგად შემორჩენილი, გამოსახულება ყოფილა, ხოლო სარკმლის მარცხნივ – დაზიანებული 2 ფიგურა. („სამთავრო“ გვ.70). (სურ. 1.)

2014-15 წლებში ფერისცვალების ტაძრის საშენი მასალის, საკურთხევლისა და გუმბათის ყელის ფერწერის საკონსერვაციო სამუშაოები შესრულდა. გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები, ორგანიზაცია, ეკატერინე პრივალოვას სახელობის მხატვრობის ტექნიკური მეთოდებით კვლევის ცენტრმა, „ბეთანიამ“ განახორციელა. ამ ცენტრის ხელმძღვანელის, ხელოვნებათმცოდნე ნანა კუპრაშვილისა და რესტავრატორების დასკვნით (დოკუმენტაციით), საკურთხევლის მხატვრობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლა არ მომხდარა; მაგრამ, ჭვარტლის სქელი ფენა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოხატულობის დაცულობას, მოსცილდა და უფრო თვალსაჩინო გახდა გამოსახულებები. ფერწერის ფენის აქერცლილი და დაზიანებული მონაკვეთები წერტილოვანი ხერხით გამაგრდა.

როგორც რესტავრატორებმა აღნიშნეს, მხატვრობა საჭიროებს სრულ საკონსერვაციო

სამუშაოებს, რათა ფერწერა საფუძვლიანად გამაგრდეს და შენარჩუნდეს. თავად, მხატვრობის შესახებ აღნიშნავენ, რომ მასზე ისტორიული მონაცემები არ მოიპოვება; გარდა იმ ფაქტისა, რომ აქ როსტომ ხანის მეუღლის, მარიამ დედოფლის სურვილით, უმუშავიათ მოსკოვიდან მოწვეულ ხატმწერებს (XVII ს.). ეს ცნობა, სავარაუდოდ, გუმბათის მოხატულობას ეხება; ხოლო რაც შეეხება საკურთხევლის მოხატულობას, მათი დასკვნით, იგი პოსტბიზანტიური ხანის მხატვრობის ზოგად თავისებურებებს ასახავს, რომლის პარალელები მრავლად მოიძებნება XVII საუკუნის შუა ხანისა და მეორე ნახევრის ქართული წიგნის მხატვრობაში.

საკურთხევლის კონქში საყდარზე მჯდომი ღვთისმშობლის ფრაგმენტი განირჩევა; მის ქვემოთ, აფსიდში კი მოციქულთა რიგია გამოსახული. აფსიდის ქვედა რეგისტრში შემორჩენილია ადრეული მოხატულობის ფენა – ფრონტალურად მდგომი ეკლესიის მამათა დიდი ზომის მონუმენტური ფიგურები, რომლებიც პროპორციებითა და დრაპირების დამუშავებით, XI-XII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ტენდენციებს ეხმიანებიან.

საკონსერვაციო სამუშაოების პროცესში გაკეთდა ფოტო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ჩვენ შევეცადეთ, აღგვეწერა დღევანდელი სახით დაცული ფერწერა.

ინტერიერის მაღალი და ჰარმონიული სივრცე, ცენტრში, გაჯერებულია გუმბათის ყელის და სამხრეთ ფასადის სარკმლებიდან შემოსული უხვი სინათლით. ამ სივრცეში იჭრება საკურთხევლის კანკელი, ხოლო სიღრმეში რჩება ნახევარწრიული აფსიდი, განიერი ბემის წყალობით. საკურთხეველში მხოლოდ ერთი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდილოეთით ორი ნიშია, რომლებიც აბსიდში არღვევენ სიმეტრიულობას. ნიშები, აგრეთვე, ხელს შეუშლიდა, ამ რიგში, მოციქულთა ექვსივე ფიგურის გამოსახვას. საფიქრებელია, რომ აბსიდს მთლიანად გაუყვებოდა ნიშები, რომლებიც მოგვიანებით (გვიან შუა საუკუნეებში) ამოავსეს და ზემოდან მხატვრობა შეასრულეს (დაადეს). ამაზე მიუთითებს მოციქულთა ფიგურებთან არსებული ბზარები, რომლებიც ნიშის კონფიგურაციას იმეორებენ (შემოწერენ). გახსნილი ნიშების გამო, ამ მხარეს მოციქულთა 4 ფიგურა სრულად არის დაკარგული.

საკურთხეველში რეგისტრები გამოყოფილია სადა ყავისფერი სარტყლით; ქვედა რეგისტრის დასასრულს გავლებულია ძოწისფერი სარტყელი, ასეთივე შემოუყვება სარკმელს. კონქის ქვემოთ, აფსიდში, მოციქულთა რიგია. ისინი წარმოდგენილნი არიან სამ ნაწილად დაყოფილ, ფერადოვან ფონზე (თეთრი, ძოწისფერი, მუქი ოქრისფერი); დეკორატიული, შეისრული თაღების ქვეშ (მსგავსი აღმოსავლური ტიპის, დეკორატიული თაღები გვხვედება ალვანის წმიდა იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკაში, რომელიც XVI ს-ში ლევან კახთა მეფემ აღადგინა და მოხატა. აქ ქტიტორები წმიდანებთან ერთად არიან წარმოდგენილნი: წმიდა ნინო, თინათინ დედოფალი, ლევან მეფე, წმიდა კონსტანტინე დიდი და წმიდა ელენე დედოფალი). თაღები წითელი კონტურით არის ნაწერი და მკრთალად შერჩენიათ ლურჯი საღებავის ლაქები. მსხვილი, შავი, კონტურით დაწერილი, გრძელი და მოცულობითი ფიგურები (ოდნავ გადიდებული ტორსებით) 3/4-ით მიმართულნი არიან ცენტრისკენ. 8 მოციქულის გამოსახულებიდან, 5 მათგანი უკეთ იკითხება; (სურ.1)ამათგან, თითქმის ყველას, სახარება უჭირავს, ე.ი. მახარებლები არიან; ხოლო ერთს, სარკმლის მარცხენა მხარეს – გასაღები, ეს პეტრე მოციქულია. სარკმლის მარჯვნივ გამოსახულ მოციქულთა ამ რიგს (ვალერი სილოგავას მიერ ამოკითხული განმარტებითი წარწერების მეშვეობით და იკონოგრაფიული ნიშნებით), სათავეში უდგას პავლე მოციქული, მას მოჰყვება იოანე მახარებელი. ეს წარწერები დღეს უკვე აღარ იკითხება.

თანაბარი ინტერვალით დაშორებულ ფიგურებს, ერთგვარ დინამიურ რიტმს მატებს ხელების პოზა და სახარების ჭერის მანერა. მაგალითად, პავლე მოციქულს წიგნი გულმკერდს ქვემოთ, ოდნავ წინ გადმოწეული უკავია, იოანე მახარებელს კი – ნიკაპამდე აქვს აწეული და მარჯვენა ხელი – ზემოდან დადებული; პავლე მოციქულის პოზას იმეორებს, იოანე მახარებლის გვერდით მდგომი მოციქული და ა.შ. ასევე, პეტრე მოციქულს გასაღები ქვემოთ აქვს დაშვებული, ხოლო მახარებელს ზემოთ აქვს აღმართული სახარება.

დინამიურობის შთაბეჭდილებას აძლიერებს, ნაკეცებით უხვად დრაპირებული შესამოსელი და სხვადასხვა კუთხით გამოსახული ტერფები. მოციქულთა თავთა, პეტრეს და პავლეს დგომის პოზა ერთნაირია – პროფილში გამოსახული ტერფით ცენტრისკენ მიემართებიან, ხოლო ფასში გამოსახული ტერფით – მო-

ციქულებისკენ. ფასში გამოსახული ტერფები ოდნავ ზემოთ აქვთ აწეული, რაც ხელს უწყობს ფიგურების გამსუბუქებას. დანარჩენი მოციქულების, პროფილში და ფასში გამოსახული, ტერფები ცენტრისკენ არიან მიმართულნი.

ფერადოვანი გამა,ჩანს,საკმაოდ მდიდრული ყოფილა. შარავანდების გარდა, ოქროსფერი გამოყენებულია შესამოსელშიც; ასევე ჭარბობს თეთრი, ზეთისხილისფერი, ძოწისფერი, ღია და მუქი ყავისფერი; გამოყენებულია ღია მწვანე, ფირუზისფერი, ნაცრისფერი, წითელი

სურ. 2

სურ. 3

და ლურჯი საღებავები. დეკორატიული ნიშნები საკმაოდ მწირია,შეისრული,ყვავილოვანი ფორმის თაღედისა და სახარებების მარტივი შემკულობის გარდა (ძოწისფერ წიგნზე თეთრი პუნსონებია დატანილი), თითქმის არაფერია შემორჩენილი. როგორც ჩანს,მხატვრული ეფექტი ფერთა მრავალფეროვნებით და სიმკვეთრით იყო მიღწეული.

დღემდე დაცული მხატვრობიდან, ყველაზე უკეთ,პავლე მოციქულისა და იოანე მახარებელის გამოსახულებებია შემონახული (სურ. 2). წმიდა პავლეს თეთრი კვართი და ღია ოქრისფერი მოსასხამი მოსავს. კვართი სწორხაზოვნად ეშვება და ნაკეცები პირობითად აღნიშნულია სწორი შავი ხაზებით; ანალოგიურია პეტრე და იოანე მოციქულების კვართის დამუშავება. მოსასხამზე კი უხვი ნაოჭების აღმნიშვნელი შავი კონტურები მიმქრქალია; უფრო მეტად მეტყველებს თეთრი მონასმები, რომელსაც ამოჭყავს სხეულის მრგვალი ფორმები და სისმსუბუქესაც მატებს. სხეულის ზედა ნაწილში კონტურული ხაზი გასქელებულია (რამდენიმე მონასმია). შესამოსელზე ნაოჭები რბილად ეშვება; რბილია მოსასხამის თითქოს შემოკეცილი ბოლო; მოსასხამის დაშვებული კუთხეები მახვილია, მაგრამ არა უხეში.

რაც შეეხება პავლე მოციქულის სახის იკონოგრაფიას, მას აქვს ოვალური სახე, რომელიც მაღალი (მელოტი) შუბლით, ყავისფერი თმა-წვერით და სრული ნაკვთებით, საკმაოდ მეტყველია. მუქი ოქრისფერი კანი შეზავებულია წითელი ფერით, რაც პირისახეს ვარდისფერ ელფერს აძლევს; მკვეთრი თეთრი მონასმებია შუბლთან, წარბს ზემოთ, ქუთუთოზე, თვალებში და უპეებში, ნიკაპთან; ასევე თეთრი კონტურით არის მოხაზული ყური. წითელი ტონი ოდნავ მკვეთრია ლოყებთან და ნიკაპთან. წითელი და თეთრი მონასმები კისერზეც აღინიშნება. მსხვილ, ყავისფერ, ნუშისებრ, თვალებს სქელი წარბები რკალურად გადაუყვება. წინ წამოწეული ნიკაპი, წითელი ქვედა მსხვილი ტუჩი, სქელი კონტურით დაწერილი, ოდნავ მოხრილი ცხვირი, ზე აწეული მარცხენა წარბი, მოციქულის გამომეტყველებას სახასიათოს ხდის. თმა და ხშირი წვერ-ულვაში მოდელირებულია მოკლე, ტალღოვანი, შავი კონტურებით (სურ. 4). პავლე მოციქულის სახის წერის ასეთი მანერა დამახასიათებელია XVI ს-ის კედლის მხატვრობისთვის.

პავლე მოციქულის გვერდით იოანე მახარებელია გამოსახული თეთრ ქიტონში და ღია მონაცრისფრო ჰიმატიონში, რომლის ზედა ნაწილი (მარცხნივ) გათეთრებულია. შესამოსელზე შავი კონტურები გამკვეთრებული და გასქელებულია (თითქოს რამდენჯერმეა გადასმული); მოუხეშავი, კუთხოვანი ნაკეცები, უფრო მკვეთრად გამოავლენს სხეულის მრგვალ ფორმებს (სურ. 2).

იოანე მახარებლის სახე უფრო დაზიანებულია; განირჩევა ოქრისფერი სახის კანი, თეთრი, მკვეთრი, გამონათებებით თვალებთან და ცხვირთან. აქვს მსხვილი, ნუშისებრი თვალები, სქელი წარბები, მოგრძო, სწორი ცხვირი, მსხვილი წითელი ტუჩები. ლოყები წითლად არის აღნიშნული; წითელი მონასმები განირჩევა შუბლზეც. სახის მოდელირება ცოტათი მშრალია. აქ, სახის წერის მანერაში XVII ს-ის ქართული ფერწერის სახასიათო ნიშნები ვლინდება. ოდნავ ტალღოვანი, თხელი თმა-წვერი, შავი და თეთრი კონტურებით არის დაწერილი. ნახევრად მელოტ შუბლზე პატარა ქოჩორი აქვს. სახესთან ახლოს მიტანილი, სახარებაზე დადებული მარჯვენა

ხელის მტევანი ყავისფერია, ინტენსიურად დამუშავებული თეთრით და შერეული ვარდისფერით. დაფიქრებული, სევდაშეპარული მზერით, თეთრი თმა-წვერით, წმიდა იოანე მახარებელი ჭარმაგი წარმოგვიდგება – როცა მან სახარება დაწერა (სურ. 5).

სურ. 4

სურ. 5

იოანე მახარებლის შემდგომ გამოსახულ მოციქულს აცვია თეთრი ქიტონი და ყავისფერი ჰიმატიონი; მასაც ხელში სახარება უკავია. აქვს თხელი, მოგრძო სახე; მოხატულობის დაზიანებულ სახეზე განირჩევა: ღია ფერის კანი; ჩამჯდარი, მრგვალი, ყავისფერი თვალები; მოკლე წარბები, ზემოდან შავი მონასმებით; ხშირი, ხვეული, ყავისფერი თმა-წვერი. ამ იკონოგრაფიული ნიშნებით, გამოსახული მოციქულის ფიგურა შეიძლება იყოს ლუკა მახარებელი. მისი შესამოსელიც უხვი ნაკეცებით არის დრაპირებული; გამოყენებულია, როგორც შავი კონტურები, მუქი ჩრდილები, ასევე თეთრი გამონათებები; მუხლთან სიმრგვალე, წრიულად დადებული თეთრი მონასმებით არის ამოყვანილი. შესამოსლის ბოლოები უფრო თავისუფლად და ფერწერულად ეშვება.

მეოთხე მოციქულის ფიგურა საკმაოდ თხელია. სახე მთლიანად დაზიანებულია და გაფერმკრთალებული; მაგრამ მაინც მეღერი და მეტყველია სამოსის ფერები – ძოწისფერი კვართი და ფირუზისფერი მოსასხამი. შემდგომ გამოსახული მოციქულის ფიგურას მკრთალად განერჩევა, რომ აცვია თეთრი ქიტონი და ძოწისფერ-მოყავისფრო ჰიმატიონი. მოსასხამიდან გამოწვდილი მაკურთხეველი მარჯვენა ხელის მტევანი, ცენტრისკენ აქვს მიმართული (გადახრილი), ხოლო მარცხენა ხელში გრაგნილი უკავია. სახე ძლიერ დაზიანებულია; შემორჩენილია ოქროსფერი შარავანდის მცირე ნაწილები. ამ რიგის ბოლო მოციქულის ფიგურის მხოლოდ კონტურული გამოსახულება და ძოწისფერი კვართის ბოლო იკითხება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარკმლის მარცხენა მხარეს ორი ფიგურაა შემორჩენილი (სურ 3). ამათგან, პეტრე მოციქულის გამოსახულება უფრო მეტად არის დაზიანებული; სახე ჩამოჭრილია, მხატვრობა – გაფერმკრთალებული. მას აცვია ღია მწვანე ქიტონი და ღია ყავისფერი ჰიმატიონი, რომელიც ისე აქვს მოსხმული, რომ მარჯვენა ხელს, გულ-მკერდს არ უფარავს და მრგვლად ეფინება მხარზე. შესამოსელი მოდელირებულია რბილი მუქი ყავისფერი და თეთრი მონასმებით; იკვეთება სხეულის მრგვალი ფორმები.

სურ. 6

დაზიანების მიუხედავად, განირჩევა მრგვალი სახე, ზეთისხილისფერი კანი; ხშირი ჭაღარა თმა, მოკლე, ფუმფულა წვერი, მოგრძო ცხვირი და თვალწარბის კონტური.

პეტრე მოციქულის გვერდით კიდევ ერთი მახარებელია, წიგნით ხელში. მისი თხელი ფიგურა მსუბუქად დგას. თავი ოდნავ გვერდზე აქვს გადახრილი. აცვია მოწითალო-ვარდისფერი კვართი და ოქრისფერი მოსასხამი, რომელიც მთლიანად უფარავს სხეულს. მოსასხამიდან მოკრძალებით გამოწვდილი მარჯვენა ხელის მტევანი მოუჩანს; მკერდზე მიყდრნობილი სახარება ჰორიზონტალურად უკავია. სამოსი უხვად არის დამუშავებული მუქი ყავისფერი სქელი მონასმებით.

მოციქულის თხელი, მოგრძო სახე ნატიფად არის ნაწერი. დაბალი შუბლი, სწორი, მოგრძო ცხვირი, თხელი, წითელი ტუჩები, სქელი ზეაწეული წარბები და მრგვალი, მსხვილი თვალები, ძლიერ მეტყველია. სახის კანი და თმა-წვერი ზეთისხილისფერის ერთ ტონალობაშია დაწერილი. კანის ფერში შეზავებულია ოქრისფერი და თეთრი; წითელით მონიშნულია ლოყები; ასევე წითელი დაუყვება ცხვირის კონტურს. სწორი კონტურებით დაწერილი თხელი თმა-წვერი, ნაზად დამუშავებული თეთრი მონასმებით, ქმნის კარგად „დავარცხნილის“ შთაბეჭდილებას. სახის კანის მოდელი-

რება, წერის დახვეწილი, რბილი მანერა XIV საუკუნის ერთგვარ გამოძახილს პოულობს. დაფიქრებული მზერა ინტერესს და ემოციას იწვევს. იკონოგრაფიული ნიშნებით (ოვალური სახე, ღია ფერის თმა, მოგრძო, თხელი წვერი), შესაძლოა, ეს მოციქული მათე მახარებელი იყოს (სურ 6).

გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, საკურთხევლის სარკმლის წირთხლზე თვალსაჩინო გახდა ანგელოზის გამოსახულება ძოწისფერ ფონზე გამოსახულია ანგელოზის თხელი, სრული ფიგურა, დიაკვნის შესამოსელითა და სამწერობელით ხელში. მარჯვენა მხარე ძლიერ დაზიანებულია სარკმლის გისოსების და ნალესობის გამო. ანგელოზს ფეხი ოდნავ წინ აქვს წადგმული, თავი – გვერდით გადახრილი და მისი მზერაც ქვემოთ მიემართება. იდაყვში მოხრილი, ზეაწეული, მარცხენა ხელით სამწერობელი დიაგონალურად უკავია. მას მოსავს თეთრი კვართი; ოლარი, სამკერდე (საყელო) და მაჯის პირები ძოწისფერია, თეთრი პუნსონებით და გეომეტრიული ორნამენტებით გამშვენებული. კვართზე ნაოჭები უხვადაა დატანილი შავი, ხისტი კონტურებით. ანგელოზის ფრთა ასევე ძოწისფერია და მოკლე, თეთრი „სხივებით“ ინტესიურადაა დამუშავებული. ძოწისფერისა და თეთრის ასეთი აქტიური შეხამება შთამბეჭდავია. თავზე თეთრი და შავი კონტურებით დაწერილი, ოქროსფერი შარავანდი ადგას. თხელი, ოვალური სახე ზეთისხილისფერია, ინტენსიური, თეთრი გამონათებებით მოდელირებული. მსხვილი, ნუშისებრი თვალები, რკალისებური სქელი წარბები, სწორი ცხვირი, თხელი წითელი ტუჩები ერთგვარ სინაზეს გამოხატავს. ხშირი თმა, თეთრი ხვეულებით დამუშავებული, მრგვალი ქუდისებრი ფორმისაა. თავზე უკეთია თეთრი, სამკუთხა სამაგრი. ხელის მტევანიც ზეთისხილისფერია, თეთრით დამუშავებული (სურ. 7). სამწერობელის ზედა ნაწილი დაზიანებულია, თუმცა კარგად იკითხება მასზე გამოსახული სერაფიმი.

სურ. 7

სარკმლის ღიობში, ანგელოზის მოპირდაპირე მხარეს, ძნელად განირჩევა მხატვრობის ლაქები – ფრთის ბოლოები, სადაც გამოსახული იქნებოდა, ასევე, ანგელოზი სამწერობელით ხელში. ხოლო სარკმლის თაღში, წითელი კონტურებით დაწერილია სერაფიმი, სამწერობელით, რომლის ქვედა ფრთებზე შემორჩენილია ძოწისფერ-მოყავისფრო საღებავის ლაქა.

საკურთხევლის სარკმლის ღიობში, ზემოთ, აღნიშნული გამოსახულებები გულისხმობს იმას, რომ აქ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ლიტურგიკული კომპოზიცია – „წმიდა ძღვენის თაყვანისცემა“. შესაბამისად, სარკმლის ქვეშ გამოსახული იქნებოდა ქრისტე ფეშხუმზე, რაც დღეს აღარ იკითხება.

„წმიდა ძღვენის თაყვანისცემის“ კომპოზიციამ ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელება XIII-XIV სს-ში პოვა; განსაკუთრებით პოპულარული იყო იგი სერბულ ხელოვნებაში. ქართულ კედლის მხატვრობაში კი ეს კომპოზიცია პირველად სორის და წალენჯიხის მოხატულობაში (XIV ს.) გვხვდება. ეს კომპოზიცია დაკავშირებულია ქრისტეს დიდებასთან.

საკურთხევლის ბემაში, სამხრეთ კედელზე, მოციქულთა რიგის გაყოლებაზე, შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული, მაგრამ მაინც ერთადერთი სახარებისეული სიუჟეტი – „განრღვეულის განკურნება“. სიუჟეტი წარმოდგენილია ქვედა მუქ ნაცრისფერ და ზედა თეთრ ფონზე. კომპოზიცია შედგება სამი ფიგურისაგან, რომლის ცენტრშიც მცირე ზომის ტაბლაა გამოსახული. მართკუთხა ტაბლის კიდეები ნახევარწრიული ფორმებით არის დაწერილი; ფასში გამოსახული მისი ზედაპირი თეთრია, ხოლო დანარჩენი მასა – მუქი მოყავისფრო-ძოწისფერი. მის წინ მდებარე სარეცელზე, რომელიც თითქმის ფასშია გამოსახული, განრღვეული წევს; მას ფეხები მუხლებში მოუხრია, წელს ქვემოთ მუქი ყავისფერი სამოსი აქვს შემოხვეული, რომელზეც, მსხვილი ნაცრისფერი მონასმებით, აღნიშნულია ნაკეცები. ავადმყოფს თეთრი ზედა აცვია (ან გათეთრებულია); განირჩევა კვადრატული ფორმის თხელ ბალიშზე დადებული თავი. თავთან აღმართულია თეთრი ბალდახინი, რომლის ვიწრო სვეტები მრგვალი ფეხებით ბოლოვდება. მის ქვეშ ვიღაც დგას, სავარაუდოდ, ის, ვინც ქრისტემდე მოიყვანა სნეული.

მას, თითქოს, მკერდს ქვემოთ შესამოსელი აქვს შემოხვეული და მარცხენა მხარზე გადადებული. მისი სამოსის ფერი და მოდელირება განრღვეულის სამოსის ანალოგიურია. მას ხელი აქვს მოკიდებული ავადმყოფზე. განრღვეულის ფერხთით მდგარი ფიგურიდან, გადარჩენილია ძოწისფერი კვართის ქვედა ნაწილი – აქ ქრისტე მაცხოვარი იქნებოდა გამოსახული. ამ სცენის არსებობა საკმაოდ იშვიათია ქართული კედლის მხატვრობაში; ხოლო მისი საკურთხეველში განთავსება კიდევ უფრო უჩვეულოა. თუმცა გვაფიქრებინებს, რომ ტაძრის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა, ლიტურგიკულ თემასთან ერთად, მოიცავდა აგრეთვე სიუჟეტებს, სადაც უფალი იესო ქრისტე იქნებოდა წარმოდგენილი, როგორც მკურნალი. უნდა აღინიშნოს, რომ „განრღვეულის განკურნება“ სვეტიცხოვლის „ცხოველსმყოფელი სვეტის“ სალხინობლის გარე მოხატულობაში გვხვდება; აქ, საუფლო დღესასწაულთა და სახარებისეულ სიუჟეტებში, დასავლეთ ფასადზე, ჩართულია „განრღვეულის განკურნების“ და „შობითგან ბრმის განკურნების“ სცენები. „ცხოველსმყოფელი სვეტის“ მხატვრობა XVII ს-ში (1688წ.) გრიგოლ გულჯავარასშვილის მიერ, კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის შეკვეთით არის შესრულებული.

ზემოთ აღწერილი, ფერისცვალების ტაძრის საკურთხევლის მხატვრობისაგან, გამოირჩევა ქვედა რეგისტრში არსებული სამი მღვდელმთავრის ფიგურა. არასრულად შემორჩენილი გამოსახულებები შთაბეჭდილებას მაინც ახდენენ და დახვეწილი, მაღალი დონის მხატვრობის განცდას გვიქმნიან. დიდი, გრძელი, ფრონტალურად მდგომი მღვდელმთავრების ფიგურები მონუმენტურია. ერთ მათგანს მოსავს ნარინჯისფერი და მოყავისფრო შესამოსელი, თეთრი ოლარით; ხოლო მეორეს – მოწითალო-ვარდისფერი და ძოწისფერი შესამოსელი; მესამე ფიგურა ძლიერ დაზიანებულია – მხოლოდ თეთრი და მოწითალო შესამოსელის მცირე ფრაგმენტები და მაკურთხეველი მარჯვენა განირჩევა. სამოსის ხაზოვანი, პირობითი დამუშავება, აძლიერებს გამოსახულებების სიბრტყობრიობას; ნაოჭები სამკუთხედად და დიაგონალურად ეშვება. თითოეული ფერის ტონალური მონაცვლეობა დახვეწილი და რბილია; ფერები დამჯდარი და თბილია. მაკურთხეველი მარჯვენა ხელის მტევანი, გრძელი თითებით, თხელია და ნაზად (ნატიფად) დაწერილი. ამ მცირეოდენი ნიშნებით, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მხატვრობა XI-XII საუკუნეებით თარიღდება.

საკურთხევლის მხატვრობას, დასავლეთის მკლავის შეწყვილებული სარკმლების თაღებს შორის, ერთადერთი ნახევარფიგურული გამოსახულება ეხმიანება. ეს ფიგურა გაწმენდის შედეგად გამოვლინდა, მანამდე არსებულ აღწერებში იგი არ მოიხსენიება. მისი არსებობა ერთგვარად ამოწმებს, რომ ტაძრის ინტერიერი მთლიანად იქნებოდა მოხატული. დაზიანებული ფიგურა (წაშლილია თავი) წმიდანს ფრონტალურად, ლოცვის პოზაში წარმოგვიდენს; მას ძოწისფერი ზედა აცვია, მკერდზე მიყრდნობილი ორივე ხელის მტევანი გათეთრებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, სამთავროს ტაძრის ფრესკული წარწერები, რომლებიც ვალერი სილოგავამ შეისწავლა და გამოსცა წიგნში "სამთავროს ძველი ქართული წარწერები". მისი აღწერილობით, განმარტებითი ასომთავრული წარწერები ახლდა პავლე და იოანე მოციქულთა გამოსახულებებს; ასევე ასომთავრული წარწერა იკითხებოდა სატრიუმფო თაღის ორ საფეხურზე. მკვლევარი წარწერებს, პალეოგრაფიული ნიშნებით, XVII ს-ის შუა ხანებით ათარიღებს; იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ორივე წარწერა გაცილებით ადრეა შესრულებული (შერჩენილი აქვს ძველი იერი) და მოგვიანებით გადაწერილი.

როგორც აღწერილობამ გვიჩვენა, სამთავროს ტაძრის საკურთხევლის მოხატულობა სხვადასხვა საუკუნეების მხატვრული ნიშნების ნაზავს წარმოადგენს. აქედან გამორჩეული ფენაა მღვდელმთავართა გამოსახულებები, რომლებიც შეიძლება ტაძრის არქიტექტურის თანადროულად, XI ს-ით დათარიღდეს. მოციქულთა რიგი და „წმიდა ძღვენის თაყვანისცემა“ აშკარად ატარებს პალეოგოსთა ხანის (XIV–XV სს.) მხატვრულ ნიშნებს და მკვეთრად ავლენს პოსტბიზანტიურ ხელწერას; ამის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოციქულთა რიგის მხატვრობა შესრულდა XIV–XV სს-ში და გადაიწერა XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ხოლო „განრღვეულის განკურნების“ სცენა მხოლოდ XVII ს-ის ნიშნებს ავლენს. ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების შეჯერებით, საკურთხევლის ფერწერა, დღემდე მოღწეული სახით, შეიძლება დათარიღდეს XVI ს-ის ბოლო და XVII ს-ის დასაწყისით.

მონოზონი ნონა (ჯავაშვილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათონი. ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო,
შეგვეწიე და გვაცხოვნენ ჩვენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. 56/42.

მონოზვნის აღთქმა

კითხვა-მიგება

✤

უკეთუ მოსრულხარ წინაშე ღვთისა, გკითხავ სიმშვიდით
და მომიგე ზუენ ყოვლითა კრძალულებითა:
კითხვა: რაისათვის მოსრულხარ, ძმაო, შევრდომით, წმიდასა
ამასა მსხვერპლის შეწირვასა და წმიდათა ამათ კრებულთა?
მიგება: მნებავს განშორებაი ~~ხოფლისაგან~~, პატიოსანო მამაო.
კითხვა: ნებითა შენითა ღირს იქმნებაი ანგელოსებრივსა ამას სახესა
და წესსა გუნდთა მონოზონთასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
წინამძღუარმან: ხოლო რაკამს აღგირზევიეს კეთილი და სანატრელი ესე
საქმეი, უკეთუ გნებავს განსრულებაი კეთილისა საქმისა,
შრომითა, რუღუნებითა და ტკივილითა განსრულდების.
კითხვა: ნებსით გონებითა შენითა მოხუალა წინაშე უფლისა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: დიცავ ქალწულებასა შენსა ყოვლითა გონებითა და სასოებითა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკვდიდმდე ჰყოფა
მორჩილებასა უფროსისასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: დაითმენ ყოველსა ძვირისხილვასა, იწროებასა, ბორიტთა
მიერ აღძრულსა მზაკუარებასა, სასუფეველისათვის ცათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი
მადლობას უხდის და ლოცავს
გამომცემლობა „შარავანდის“ ხელმძღვანელს
ბატონ თამაზ შარიქაძეს

ხუთშაბათობით, 14 საათზე
სამთავროს ფერისცვალების ტაძარში
ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატთან
მონასტრის მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),
აღასრულებს პარაკლისს მძიმე სნეულთათვის.